



ახალი პენათილეა

02-08.04.2020

№11 (885) გვამდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

#პარჩისასლში

ნებისმიერ სირთულეს შეიძლება გამოვჩინოთ რამეს

ძვირფასო ბავშვებო და ახალგაზრდებო! ახლა უცნაური დრო გვაქვს, უსამართლო და მოსაბუქებელი. მაგრამ მე თუ ახა, ჯაცობილობის უმნიშვნელოვანესი ადამიანებიც ასე თქვამდნენ, რომ ნებისმიერი სირთულე შეიძლება გამოვჩინოთ. აგვიღიო პოეტი, ბიძგისი და დატყუებული იყო და მეტი თქვა: "ციხე, ახლებითა, სივცხის სიმცოიე და დროის სიჭაბუათო". ჰოდა, ამ დროის სიჭაბუათო ყველაზე მეტად თქვი გვეძალეა. თქვის თუ აუცილებელ საყიდენად სჭიხება წიგნები.

მე ახლა ხიჩახი ბახის "თოლია ჯონათან ლივინგსტონს" გიჩივთ. ეს მოთხრობა დროის და სივცის დამსხვივაზეა და ეთგვახად ენათესავება ჰაჭაია ჰიინცი - ამბავი იმაზე, რომ ყველა ადამიანს საყუთაიი ჰლანეტა აქვს. ხიჩახი ბახი გვეუბნება, რომ თვითონ ჩვენ ვახი ცაღე ჰლანეტები და ყველაფერი ისე იქნება, ხოგოხადც გამოვიგონებთ - მთავახი ცა და თავისუფლება.

აქაც დიდ ხმენაზე და მიზანზე, დაუნებლობაზეა ღაჭაია. დისტანციის და ჯედების ახახებობაზე. თუ, მთი ამონახილიც: "თქვის სიჭაბუათო რომ იფიინო, ანუ გაჩნდე თუ, სადაც მოიხევებ, ამისთვის, უპიხელებ ყოვლისა, საჭიხოა შეიგნო, რომ უვე მიფიინდი" და "განა ახ შეიძლება, ზოგჯე ეთმანეთი იმის იქით მოვინახელით, ხასაც "ა" და "ახლა" ჰქვია?"

მოკლედ, მოძებნეთ ეს წიგნი და ვცადოთ, ეთად ვიქცეთ თოლია ჯონათანად და უვე თუ აღმოვჩნდეთ, ხოცა ეს სიხთელები უგან იქნება.

ბიოხი ბახაილიძე



„გახსოვდეთ“

შინ გამოკეტილი ბავშვები

COVID-19-ის გავრცელება საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების მთავარ გამოწვევად იქცა, უფრო მეტიც, დაუძლეველ გამოწვევად, რადგან დღემდე მთავარი პრევენცია, რასაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აღნიშნავს გვთვალს, ერთმანეთისგან დისტანცირება და სახლში დარჩენაა. შიშმა და გაუცხოვრებლობამ დრამატული გავლენა იქონია ჩვენს ყოველდღიურებაზე – სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრების წესი და ახლა სტრესულ მდგომარეობაში სახლში გამოკეტილები (ეს ვინც წინაშე ვამორჩილებით) თვალს ვადევნებთ და ვაკვირდებით რა ხდება გარეთ. სოციალურ ქსელს შეხვედრის იზოლირებული მოსახლეობის ნაწილი ამ რთულ და უჩვეულო მდგომარეობას აგრესიული კოსტუმით გამოხატავს, უფრო მცირე ნაწილი მშვიდად აღიწერს თვალს მოვლენების გან-

ვითარებას, ნაწილი დაავადებულთა სტატისტიკის ზრდის, პანიკური შიშით შეაჩერებული სხვადასხვა სიმპტომით გამოხატულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფება და ეს ყველაფერი ბავშვების გარემოცვაში, მათ თვალწინ ხდება.

მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის ბავშვთა ნევროლოგის და ფსიქიატრის, მადია ზირაქაშვილის აზრით, „ეპიდემიოლოგიური დროს დროული და უსუსტი ინფორმაცია კრიტიკულ როლს თამაშობს ადეკვატური კონტროლის მექანიზმების შენარჩუნების პრევენციაში, შიშითა და გაუცხოვრებით გამოწვეული სტრესის შემცირებაში.“

არის თუ არა ადეკვატური ასეთი განვარტება და როგორ შევამციროთ შფოთვა და სტრესი როგორც ბავშვებში, ისე მათ გარემოცვაში/ოჯახის წევრებში? ამ კითხვებს პასუხობს მელა ზირაქაშვილი და შინ გამო-



კეტილი ბავშვების პანდემიასთან გამკლავების იმ რამდენიმე რეკომენდაციას გვაცნობს, რომელიც ერთმა სიტყვამ – „გახსოვდეთ“ გააერთიანა.

– ქალბატონო მედეა, რა დაგვეხმარება სტრესის შემცირებაში?

– პირველ რიგში, დავასახელებ იმ რამდენიმე ფაქტორს, რაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შიშისა და გაუცხოვრებლობის წინაპირობას ქმნის. ეს ფაქტორებია:

პერსონალურ და ოჯახის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა; ახალი ვირუსი, COVID-19, როგორც ჯერ კიდევ შეუსწავლელი მიკროორგანიზმი, რომელიც რთულია შეადარო უკვე შესწავლილი დაავადებების რომელიმე გამომწვევს, რადგან მეცნიერებამ სულ რამდენიმე თვეა გაიგო მისი არსებობის შესახებ და ჯერ კიდევ ბევრია შესასწავლი და აღმოსაჩენი მასთან დაკავშირებით; კარანტინის და თვითიზოლაციის მაღალი რისკები; ჩატარებული თერაპიის ეფექტურობისადმი ეჭვები; ნდობის ფაქტორი იმ ინსტიტუციების მიმართ, რომლებსაც ვირუსზე რეაგირება ევალებათ, ლეტალობის მაღალი მაჩვენებელი მსოფლიოში.

ზოგადად, უარყოფითი ფსიქოლოგიური და ქცევითი რეაქციები ინფექციური დაავადებების აფეთქებებზე ძალიან ხშირია და მოიცავს ძილის დარღვევას, ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარების გაზრდას, შეიძლება გაჩნდეს დაუცველობის ან სხვების დადანიშნულების განცდაც და ენერჯის დაქვეითებაც. ამ დროს იმის ცოდნა, თუ როგორ გავზარდოს ადამიანი უსაფრთხოება და როგორ დაიცვას თავი ვირუსისგან, წინასწარგამიზნული, გონივრული რეკომენდაციებით, ამყარებს აზრს, რომ დაავადების მართვა, ადამიანს ხელეწიფება და ზრდის თვითრწმენას, რომ მართვის ბერკეტები მის ხელშია. თუმცა, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ინფორმაციის და რეკომენდაციების მიღებას სანდო წყაროსგან. ეცადეთ იყოთ სწორად ინფორმირებულები და თქვენც შეინარჩუნებთ მითებსა და არასწორი გზით გავრცელებულ ინფორმაციას. ნუ გადაიტვირთებით მედიის საშუალებებით, მაქსიმალურად შეამცირეთ მათი გავლენა თქვენზე და რაც მთავარია, ისწავლეთ სტრესისადმი გამკლავების მეთოდები: შეინარჩუნეთ ჩართულობა ყოველდღიურ რუტინაში, მიეცით თავს უფლება, იმ მოცემულობაში, რაშიც იმყოფებით, დაკავდეთ თქვენთვის სასიამოვნო აქტივობებით, დაკავდეთ ფიზიკური აქტივობებით. საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერისთვის, მიმართეთ მეგობრებს, ახლობლებს, ოჯახის წევრებს, თუნდაც ონლაინ რეჟიმში, თუნდაც პრინციპით – „ერთად ყველაფერს დავძლევთ“.

– ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრთა საერთაშორისო ასოციაციამ გამოაქვეყნა რეკომენდაციები, როგორ გავუმკლავდეთ პანდემიას ბავშვებთან ერთად, რომლის ქართული ვერსია თქვენ მოამზადებთ. მშობლების რჩევები 9 რეკომენდაციას აერთიანებს და თითოეულის საწყისი ასოებისგან იქმნება სიტყვა „გახსოვდეთ“. რა უნდა გვახსოვდეს?

– როდესაც ეს რეკომენდაციები ბავშვთა და მოზარდთა საერთაშორისო ასოციაციის უზრუნველყოფის დახმარებით, ავტორს ჰუმანო-

დას, რომელიც ჰარვარდის სამედიცინო სკოლის რედაქტორია, ვთხოვე ნებართვა ქართული მშობლებისთვისაც მიმეწოდებინა აღნიშნული რეკომენდაციები, ძალიან საინტერესო გამოდგა ეს შეთავაზება, რადგან 2 დღეში ქართულად თარგმნილი რეკომენდაციების გადაგზავნა მთხოვა და სხვა ქვეყნების წევრებსაც შესთავაზა იგივე გაეკეთებინათ. ჩემთვის ძალიან სასამაყოა, რომ IACA-PAP რეგულაციებში, 20 ენაზე თარგმნილი რეკომენდაციების შორის, ქართული ვერსიაც დევს. ორიგინალთან შედარებით, აბრევიატურის ფორმის და მნიშვნელობის შენარჩუნებამ, ჩვენი ხალხის კულტუროლოგიურ თავისებურებებზე რეკომენდაციების მორგების მცდელობამ, შეცვალა ორიგინალი და ის განსხვავდება პირველწყაროსგან, თუმცა, ვფიქრობ, ჩვენი მოსახლეობისთვის უფრო გამოსადეგი იქნება საბოლოო სახით.

ვიდრე უშუალოდ რჩევებზე გადავალთ, გეტყვით, რომ ამ რეკომენდაციების შექმნის აუცილებლობა კორონავირუსით სამყაროში გავრცელებულმა ყოველდღიურმა უამრავმა ნეგატიურმა ინფორმაციამ და უსასობის განცდამ, ზრდასრულებში სრულიად განსხვავებული სიმპტომი ემოციური პრობლემების გაჩენამ განაპირობა. კიდევ უფრო მძიმე დღეში აღმოჩნდნენ ხშირად გაუგებარი ინფორმაციის ქარცეცხლში მყოფი ბავშვები.

– შესაბამისად, სხვადასხვა ქცევისა და ემოციური პრობლემების პრევენციისთვის, მოდი, მშობლებს შევთავაზოთ რა არ უნდა გამოჩინდეს და რა უნდა ახსოვდეთ მათ.

1. ბავშვებთან თქვენი შეხვედრა, არ დაუმალეთ ინფორმაცია და შეეცადეთ, მათთვის გასაგებ ენაზე აუხსნათ კორონავირუსის შესახებ. დაარწმუნეთ ისინი, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ პროცესის მართვის სადავეები უფროსების ხელშია და თქვენ შეეძლიათ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მით უმეტეს რომ არ ატყუებთ. ხომ იცით, რომ ბავშვებში დაავადება იშვიათად ვრცელდება და მძიმე შემთხვევები პრაქტიკულად არ გვხვდება. ისინი ხომ თქვენ შემოგყურებენ, თქვენს რეაქციებს აკვირდებიან, თქვენი სიძლიერე ამხნევენ. ბავშვები, შესაძლოა, ხშირად სვამდნენ შეკითხვებს დაავადებასთან დაკავშირებით და ამან თქვენ არ უნდა გაგალიზიანოს, პირიქით, ყოველ ჯერზე გაუმეორეთ, როგორ ზრუნავთ მათ უსაფრთხოებაზე და ვერაფერს დააკლებთ კორონავირუსს.

2. აქტივობებში ჩართეთ და ასწავლეთ დახმარება, მაგ., ჩართეთ სადილის მომზადების პროცესში. დაიხმარეთ ნივთების თაროების დალაგებაში, დაახარისხეთ ტანსაცმელი, ივარჯიშეთ ერთად. დღეში ნახევარი საათი გამოყავით სწავლისთვისაც, გამოიყენეთ სიტუაცია და ზრუნვის ფასი ასწავლეთ. გამოხატეთ დადებითი დამოკიდებულება იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ გულისხმიერი ექიმები ადამიანებზე. დაურეკეთ და მოიკითხეთ ასაკოვანი ახლობლები, გამოუცხვეთ გემრიელი ნამცხვრები, დაიხმარეთ, ერთად დაუნერეთ

ბარათები და ერთად გაუგზავნეთ მათ.

3. წარისხიანად და ეფექტურად გაატარეთ ოჯახური დრო – მიუხედავად იმისა, რომ უფროსებისთვის რთულია, ამ პერიოდში არ მიეჯახვით ონლაინ აქტივობებს და სოციალურ ქსელს, მაინც შეეცადეთ მეტი დრო გაატაროთ შვილებთან. არა მხოლოდ იყოთ მათ სივრცეში, არამედ იურთიერთოთ მათთან. უყურეთ ფილმებს ერთად და იმსჯელეთ ნაწახზე, ნაუკითხეთ ზღაპრები და ნახატებით გადმოეცით მიღებული შთაბეჭდილებები, ხშირად გაუზიარეთ ისინი ერთმანეთს. მოაწყვეთ ცეკვის სადამოები ან ძერწვის საათები. განახორციელეთ ონლაინ შეხვედრები მეგობარ ოჯახებთან, გამართეთ ვირტუალური წვეულებები.

4. სიმშვიდე შეინარჩუნეთ – ეცადეთ არ ისაუბროთ ბავშვის თანდასწრებით ქვეყანაში ამჟამად შექმნილ რთულ ეკონომიკურ და ჯანდაცვის მდგომარეობაზე, საკუთარ შიშებზე და სირთულეებზე კორონავირუსთან დაკავშირებით. შეინარჩუნეთ სიმშვიდე. ბავშვები იმეორებენ თქვენს ქცევებს და ნათქვამს. ეცადეთ, კარგად გეძინოთ, მიიღოთ ბევრი სითხეები და ჯანსაღი საკვებით იკვებოთ, რათა „გეყოთ ნერვები“, მშვიდად გაუძღვეთ ოჯახს. ახლა ის პერიოდია, როდესაც შესაძლოა თქვენი შვილი მეტად მიეჯახვოს ელექტრონულ მონიშვნებებს, მაგრამ თუ სხვანაირად ვერ უმკლავდებით მათ სახლში ყოფნას, ესეც არაუშავს, ეს მდგომარეობა ხომ დროებითია, დღეს ყველა ფორსმაჟორულ ყოფნაში ვცხოვრობთ. მთავარია, ძალიან არ გაგვეცუთ სადავეები.

5. მთავი მოუწყვეთ კომფორტულად – ნარმოიდგინეთ, თუ რამდენად რთულია ბავშვების ყოფა ამჟამინდელ მდგომარეობაში, არ დადიან ბაღში, სკოლაში, გასართობ ცენტრში, კინოთეატრში, თეატრში. სხვადასხვა ნრეებზე სიარულიც შეჩერებული აქვთ, ვერ ხვდებიან მეგობრებს. შესაბამისად გარემო, სადაც ამ ეტაპზე უხდებათ ძალიან დიდი დროის გატარება, მნიშვნელოვანია, რომ იყოს მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული.

6. ვირუსის პრევენციის ღონისძიებებზე მიმართული რეკომენდაციები მიაწოდეთ ასაკის შესაბამისად, მათთვის ადვილად გასაგებ ენაზე. მოიყვანეთ მაგალითად მათი საყვარელი მულტფილმების გმირები, რომლებმაც უნდა დაამარცხო „ბოროტი კორონავირუსი“. ბოროტი ძალები კი ადვილად სუსტდება ხელების ხშირი და სწორად დაბანით ან სადეზინფექციო ხსნარის მოხმარებით. ამ დროს თან უთხარით: „ჩვენ გამოვუშვებთ ჯადოსნურ ქაფს და შევებრძობლებით კორონას“ ან „დავასხამთ ჯადოსნურ სითხეს და გაავქრობთ ბოროტ ვირუსებს“ და ა.შ.

7. დიაგნოზი ბავშვები ზედმეტი ინფორმაციისგან – აკონტროლეთ მედია-საშუალებების გამოყენება. როცა გგონიათ, რომ თქვენი შვილები არ უსმენენ საინფორმაციო გამოშვებებს, აღმოჩნდება, რომ ისინი ყველაფრის საქმის კურსში არიან. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ ჩვენ ბავშვებს კი

არ ვუშალავთ ინფორმაციას, არამედ ვუფილტრავთ და ასაკის შესაბამისად, მათთვის სწორად აღსაქმელად ვანვლით. შესაბამისად, ჩაუნიეთ ან ხმა გაუთიშეთ ახალ ამბებს მანამ, სანამ არ დარწმუნდებით რომ ინფორმაცია, რომელსაც გადმოსცემენ, არ იმოქმედებს ბავშვზე უარყოფითად.

8. ემოციების მართვაში დაეხმარეთ – სწორად მართეთ მათი ემოციები, მიეცით საშუალება, დასვან შეკითხვები. ასევე, თქვენც ჰკითხეთ, რას გრძობენ არსებულ სიტუაციაში, როგორ ესმით, რა არის ის, რაზეც ამდენს საუბრობენ ბოლო პერიოდში. თქვენც გახსნილად ისაუბრეთ თქვენს ემოციებზე და მიეცით უარყოფითი ემოციებისგან ვენტილირების საშუალება. დაარწმუნეთ, რომ სასირცხვილო იმაში, რომ შესაძლოა ემინოდეთ, არც არაფერია.

– დაბოლოს, თქვენს ბენეფიციარებს რა სახის მომსახურებას სთავაზობთ ამ პირობებში?

– ამ სოციალური დისტანცირების პერიოდში, როდესაც დაავადებათა კონტროლის ცენტრის პროგნოზით ამ რეჟიმის გაგრძელება, სულ ცოტა, ზაფხულამდე მოგვიწევს, ვითვალისწინებთ რა ამავე ორგანიზაციის მკაცრ გზავნილს: „დარჩით სახლში“, მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი მოსახლეობას სთავაზობს დისტანციურ მომსახურებას. ბევრ ქვეყანაში აქამდეც გამოიყენებოდა და ახლა მათ უმეტეს აქტიურად გამოიყენება ტელემედიცინა, რაც გულისხმობს დისტანციურ, ტელეკონსულტაციას და ტელეინტერვენციას, ონლაინ შეხვედრებისა და ვიდეორჩენების გამოყენებით. მოგვხსენებთ, ჩვენი პროფესიიდან გამომდინარე, ძირითადი შეფასების იარაღი, ბავშვის ქცევაზე დაკვირვება და მშობლისგან ან უშუალოდ ბავშვისგან შეკრებილი ინტერვიუა, რასაც ეკრანის საშუალებითაც უპრობლემოდ ვახერხებთ.

ჩვენი გუნდი გაეცნო საერთაშორისო გამოცდილებას, არსებულ სახელმძღვანელოებსა და რეკომენდაციებს და 1 აპრილიდან დაიწყო 2 სერვისის მიწოდება:

➔ ტელეკონსულტაციების (ექიმი, ფსიქოლოგი, ქცევითი თერაპევტი, აკადემიური თერაპევტი, ფიზიკური თერაპევტი, ენისა და მეტყველების თერაპევტი);

➔ ტელეინტერვენციების (მშობლით გაშუალებული ქცევითი თერაპია, აკადემიური თერაპია, ენისა და მეტყველების თერაპია, ფიზიკური თერაპია, ხელოვნებით თერაპია) სახით.

ინტერვიუს დასასრულს, ბოლო, მე-9 რეკომენდაციას გავაუღებ: **მითოეული** ჩვენ-განის სწორად გადადგმული ნაბიჯი დღევანდელ გამოწვევასთან ეფექტური გამკლავების საწინდარია. დაიცავით დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციები და იყავით მშვიდად. გაუფრთხილდით საკუთარ და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობას!

დისტანციური სწავლება

მშვიდობით, რობინზონ!

XXI საუკუნეა... განვითარებისა და ტექნოლოგიური სა-
ოცრებების სამყარო. ყოველდღიურად უდიდესი აღმოჩენე-
ბის მონმენი ვხდებით... დღეს წიგნის მაგივრად კომპიუტერ-
ის ეკრანს შევჩერებვართ. მოკლედ, ინფორმაციული ბუ-
მია. თუ წინათ ინფორმაციის ერთადერთი წყარო მასწავლე-
ბელი იყო, ახლა იგი პროგრამირებულმა და დისტანციურმა
სწავლებამ ჩაანაცვლა. ცოდნის ტესტებით შემოწმებაც შე-
საძლებელია მასწავლებლის გარეშე. თანამედროვე მოსწავ-
ლე აღიჭურვა კომუნიკაციისა და ტექნოლოგიების იმ საშუ-
ალებებით, რომლებიც არ არსებობდა ჩემს მასწავლებლად
ჩამოყალიბების პერიოდში. ამიტომ მეტი შემოქმედებითო-
ბა, გამბედაობა და სიახლეებისკენ სწრაფვა გვმართებს, რა-
თა „მანქანამ“ არ ჩაგვანაცვლოს. ჩვენ წინ ახალი ამოცანაა:
უღვენი ინფორმაციის ათვისება, ბავშვის პრაქტიკული და
შემოქმედებითი უნარების განვითარება, მისი მოთხოვნი-
ლებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება, ინფორმაციის
თანამედროვე წყაროებთან მისაახლოებლად ახალი გზების
მოძიების აუცილებლობა. დრომ მოიტანა და უეცრად აღ-
მოვჩნდით ფაქტის წინაშე. ერთადერთი გზა მოსწავლეებთან
ურთიერთობისა აღმოჩნდა დისტანციური სწავლება. ორგა-
ნიზაციული თვალსაზრისით, ასეთი ფორმატი სწავლის
პროცესს ბევრად უფრო ხელმისაწვდომსა და მარტივს ხდის,
ვიდრე განათლების კლასიკური მეთოდები. საკმარისია მხო-
ლოდ ინტერნეტში შესაბამისი კურსის მოძიება.

Online გაკვეთილები, გარდა იმისა, რომ ძალიან ბევრი
ონლაინრესურსის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა,
სრულიად ინტერაქტიული პროცესია. აბსოლუტურად
ცოცხალი ატმოსფეროა, ყველაფერი ზუსტად იმგვარად
ხდება, როგორც ჩვეულებრივ გაკვეთილზე. სხვა სიკეთეს-
თან ერთად, დისტანციურმა სწავლებამ ისიც მოიტანა, რომ
მოსწავლე-მასწავლებლებმა როლები შეიცვალეს, რადგან
მოსწავლეები უფრო გათვითცნობიერებულნი აღმოჩნდნენ
ამ საკითხში და უფრო კარგად აუღეს ალღო დისტანციურ
სწავლებას, ხოლო მოქნილმა პროგრამებმა, კერძოდ, „მაიკ-
როსოფტის“ აპლიკაციებმა უფრო გააიოლა სწავლება.

დისტანციური სწავლებისას, უპირველეს ყოვლისა, მოს-
წავლესა და მასწავლებელს უნდა ჰქონდეს კომპიუტერი, ვი-
დეოთვალი, ხმის გამაძლიერებელი ან უბრალოდ ლეპტოპი
(ეს უკანასკნელი ყველაზე მოსახერხებელია ამ შემთხვევა-
ში). ამის გარდა, საჭიროა პროგრამული უზრუნველყოფა –
ვინდოუსის უახლესი ვერსია. და გაკვეთილიც დაიწყო. ჩემ-
თვის ძალიან მოქნილი და მოხერხებული პლატფორმაა
<http://www.schoolbook.ge/> და პროგრამა ZOOM
https://www.youtube.com/watch?v=Yyr_OIILatM, რადგან ყვე-
ლაფერი ერთ სივრცეშია განთავსებული. აქ უპირატესობა
ისიცაა, რომ უფრო გამარტივებულია, თუნდაც გაკვეთილის
ჩანერის პროცესი. გაკვეთილის დაწყებამდე ღილაკზე თი-
თის დაჭერით, გაკვეთილი მიმდინარეობის პროცესშივე ინე-
რება, შემდეგ ავტომატურად იტვირთება, რადგან ყველაფე-
რი დაარქივებულია. დავალებების მიცემა, ფაილების მიბმა,
დისკუსიის საშუალება. მშობლებსაც კი შეუძლიათ დისტან-
ციურად ჩაერთონ და ნახონ, რას აკეთებენ მათი შვილები.
მოსწავლეებს უყვართ სიახლეები და დისტანციური სწავ-
ლების პროცესი ჯერჯერობით მათთვის სახალისოა, თუმცა
ძალიან საინტერესოა, როგორი იქნება დისტანციური სწავ-
ლების შედეგები – მოსწავლეთა მიღწევები ეროვნულ სას-
წავლო გეგმასთან მიმართებით. რამდენიმე რჩევას ჩემი გა-
მოცდილებიდან მოგაწვდით.

1. თუკი გაკვეთილი 10:00 საათზე გაქვთ, დანიშნეთ 5 წუ-
თით ადრე, რადგან 25 ონლაინ ერთად შეკრებას ყოველთვის
თან სდევს სხვადასხვა პრობლემა, მაგალითად, ინტერნეტ-
კავშირის ხარვეზები, კომპიუტერის ან მობილური მოწყობი-
ლობის პრობლემები და ა.შ.
2. ვინც არ ლაპარაკობს, აუცილებლად გათიშოს მიკრო-
ფონი, რადგან მასწავლებლისთვის 3-4 ხმის ერთად მოსმენა

შეუძლებელია. ყველაზე მარტივი იქნება, თუ მისი მიკრო-
ფონი, ვინც არ ლაპარაკობს, გათიშული იქნება და მხოლოდ
„ხელის აწევის“ შემდეგ დავიწყებთ საუბარს.

3. აუცილებლად გამოიყენეთ მიკროფონიანი ყურსასმე-
ნი, რადგან პერსონალურ კომპიუტერსა და მობილურ
მოწყობილობებში ჩაშენებულ მიკროფონებში ხშირად შემო-
დის გარე ხმა, რომელიც არც თუ ისე სასიამოვნო მოსასმე-
ნია. ერთი საკითხია, თუ როგორ ვატარებთ მასწავლებლები
დისტანციურ გაკვეთილებს და მეორე, თუ რას ფიქრობენ კო-
მაროველი მოსწავლეები დისტანციურ სწავლებაზე. ყველა-
ზე მნიშვნელოვანი სწორედ მათი აზრია. „დისტანციურ
სწავლებას აქვს ბევრი დადებითი მხარე. არ ვხარჯავთ
დროს სკოლაში მისასვლელად. გვაქვს ჩვენზე მორგებუ-
ლი, კომფორტული, შეიძლება უფრო ფართო სივრცეც კი.
არ გვექმნება წვრილ-წვრილი პრობლემები, როგორებიცაა:
„სანერი კალამი სახლში დამრჩა“, „წიგნები სახლში დავტო-
ვე, რადგან ძალიან ძძიმე იყო და თუ ორი გაქვთ, ერთი
მათხოვე“, „დაფიდან გაიწიე, მეფარები“, „ბუფეტის საქმე-
ლი არ მომწონს, სახლიდან წამოღება დამეზარა“ და კიდევ
სხვა მრავალი... ასეთ პრობლემებს რა გამოლევს, მაგრამ
თუ დავრჩებით სახლში, ამ მხრივ საფრთხე არ გვემუქრება
და არ გავფლანგავთ დროს მსგავს „პრობლემებზე“. ამ
დროს ხარ უფრო ორიენტირებული სწავლისთვის და არ გე-
ფანტება ყურადღება სხვა მოსწავლეების ქცევაზე. თუ ვინ-
მემ გაკვეთილის მსვლელობისას ხელი შევიშალა, რამდენი-
მე სენსორზე თითის დანკაპუნებით მოავარებ პრობლემას,
ხარ შენთვის და ვერაფერს შეგავინროვებს, როგორ გამოიყუ-
რები, რადგან ისედაც არ ჩანხარ. ეს ბევრად უფრო მარტი-
ვია და მოსახერხებელი. საერთოდ მიყვარს სიახლეები
ცხოვრებაში და ვფიქრობ, დისტანციური სწავლებაც ახა-
ლია, ამიტომ ვაპირებ, რომ ცხოვრებისგან ეს ახალი გამოწ-
ვევა ჩემ სასარგებლოდ გამოვიყენო და მივიღო უფრო მეტი
სიამოვნება და დადებითი დისტანციური სწავლებისგან.
თუმცა, ყველაფერს აქვს თავისი უარყოფითი მხარე. მაგა-
ლითად, მოსწავლეს, რომელსაც ეზარება სწავლა, უფრო გა-
უმარტივდება დისტანციური სწავლების ხარჯზე ამ ვალდე-
ბულებისგან თავის არიდება, ხოლო როდესაც უშუალო კონ-
ტაქტი აქვს მასწავლებელთან, ეცდება ცოტათი მაინც და-
უთმოს დრო განათლებას, მაგრამ მოსწავლე, რომელიც თა-
ვისი თავისთვის სწავლობს და არა ნიშნისთვის, დედიკოსთ-
ვის, მამიკოსთვის, ბებიკოსთვის, მასწავლებლისთვის, მა-
ინც მოახერხებს განათლების მიღებას.

ასევე, არსებობს კიდევ ერთი, არცთუ ისე პატარა პრობ-
ლემა. შეიძლება მოსწავლეს არ აქვს სახლში დისტანციური
სწავლებისთვის შექმნილი საჭირო გარემო, კომპიუტერი,
ინტერნეტი, მობილური, ამიტომ ვერ მოახერხებს გაკვეთი-
ლის პროცესში ჩართვას. პირადად მე, მიუხედავად იმისა,
რომ მაქვს დღეები, როდესაც ძალიან მეზარება დილით ად-
რე ადგომა და სკოლაში წასვლა, ახლა უკვე დამეწყო მონატ-
რება იმ გარემოსი, რაც ჩემს სკოლას აქვს შექმნილი და
ვფიქრობ, რომ ერთმანეთთან „ლაივში“ ურიერთობა მაინც
უფრო საინტერესო და საჭიროა.

დისტანციური სწავლება საუკეთესო იმ მხრივია, რომ
მოსწავლეს არ აგვიანდება სკოლაში და მას მხოლოდ კომპი-
უტერის ჩართვა საჭიროდება. ამიტომ მოსწავლეებს უფრო მე-
ტი დრო რჩებათ, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებს, რომლებ-
იც შორს ცხოვრობენ. ასევე, არ არის ბულინგი კლასელების
შორის. თუმცა, დისტანციურ სწავლებას გააჩნია პრობლემე-
ბი. მასწავლებელი ვერ ამოწმებს მოსწავლის ცოდნას, რად-
გან ამ შემთხვევაში ბავშვებს შეუძლიათ სახელმძღვანელო
გამოიყენონ და გადაინერონ დავალება, რადგან ინტერნეტში
საამოცნო უამრავი რესურსია. ასევე, მოსწავლეს შეუძლია
არ ისწავლოს და, ცოდნის მიღების მაგივრად, გაერთოს.
დისტანციური სწავლებისას დისციპლინა ყოველთვის იქნე-
ბა დარღვეული. ჩემი აზრით, დისტანციური სწავლება კარ-

გია იმ მოსწავლეთათვის, რომლებსაც ცოდნის მიღება
სურთ. ასეთი სწავლება ხელს არ შეუშლის, მირიქით, დაეხმა-
რება მას დროის მართვასა და საკუთარი განათლების მენეჯ-
მენტში. მოსწავლე, რომელსაც სწავლა არ უნდა, ყოველთვის
იპოვის მიზეზს, რომ გაკვეთილი ჩაშალოს ან გააცდინოს.

მე საზოგადოების იმ ნაწილს მივეკუთვნები, რომლისთ-
ვის ურთიერთობები მნიშვნელოვანია და დისტანციურ სწავ-
ლებას სკოლაში სიარული ურჩევნია, თუმცა, მიუხედავად
ჩემი მოსაზრებისა, უნდა ვაღიარო, რომ დისტანციური
სწავლებაც საკმაოდ ეფექტურია. სწავლების ორივე მე-
თოდს გააჩნია საკუთარი დადებითი და უარყოფითი მხარე.
დღესდღეობით საქართველოში არსებული ვითარება ბავშ-
ვებისგან სახლში ჯდომასა და დისტანციურად მეცადინეო-
ბას მოითხოვს, რათა არ შეწყდეს ცოდნის მიღების პროცესი
და, ვირუსის გამო, ბავშვები არ დაზარალებდნენ. დიახ, მეტი
თავისუფლება გაქვს. ვესწრებით ყველა გაკვეთილს, ვმეცა-
დინებთ, თუმცა არ გვაქვს ადამიანებთან კონტაქტი. ზოგი-
ერთი ადამიანისათვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს.
ზოგს ურჩევნია მთელი დღე სახლში ჯდომა, არავინ აწუხებს
და ისიც თავის საქმეს მშვიდად აკეთებს. უამრავი მაგალი-
თია იმისა, რომ მთავარი მონდომებაა და, მიზანდასახულო-
ბის შემთხვევაში, ონლაინ სწავლებასაც „გადაიტანს კაცი“.
ჩემი აზრით, სკოლა არ გაძლევს მხოლოდ და მხოლოდ გა-
ნათლებას. ბავშვების უმრავლესობისათვის ეს ის ადგილია,
რომელთანაც უამრავი მოგონება აკავშირებთ. ადგილი, სა-
დაც უახლოესი მეგობრები გაიცნეს, მასწავლებლები შეიყ-
ვარეს და დააფასეს, ადგილი, სადაც ერთმანეთის „ქრამებს“
უთვალავლებდნენ და მერე ამის გახსენებაზე სიცოცხლი
იხოცებოდნენ. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ეგრეთ წო-
დებული „ონლაინ“ სწავლება ვერასოდეს ვერ შეცვლის იმ
ყველაფერს, რასაც სკოლა გვაძლევს ყოველდღიურად. და-
ბოლოს, მოუსმინეთ ყველაზე პატარა რესპონდენტს, მერ-
ვეკლასელს – დღეს საქართველოში მიმდინარე ვითარების,
კერძოდ, კარანტინის გამო, ბავშვებს და მასწავლებლებს
მოუწიათ ონლაინ განათლებაზე გადასვლა. ეს ნაბიჯი აუცი-
ლებელი იყო იმისათვის, რომ ბავშვებს გაეგრძელებინათ გა-
ნათლება სკოლაში მისვლისა და მითუმეტეს, ქუჩაში სიარ-
ულის გარეშე. ზოგ განვითარებულ ქვეყანაში კარანტინის
გარეშე არსებობს ონლაინ განათლების კურსი. იგი გამოი-
ყურება შემდეგნაირად: მოსწავლე სწავლობს სკოლაში 4 წე-
ლი, შემდეგ სურვილისამებრ გადადის ონლაინ განათლება-
ზე ან რჩება სკოლაში კიდევ 8 წელი, თუ არ გაიორცხება. ონ-
ლაინ განათლებაზე გადასული ადამიანები ზოგადად არიან
ინტროვერტები. ადამიანები, რომლებსაც არ უყვართ სხვა
ადამიანებთან კონტაქტი და მთელი ცხოვრება გაატარებენ
„ონლაინ“. ჩემი აზრით, ბავშვები სკოლაში არ დადიან მხო-
ლოდ იმისათვის, რომ მიიღონ განათლება და საკმარისი
ცოდნა სხვადასხვა საგანში, ისინი დადიან იმისათვის, რომ
ისწავლონ ადამიანებთან კონტაქტი, რომ მთელი მათი შემ-
დეგი ცხოვრება არ გაატარონ ონლაინ.

და მიუხედავად ონლაინ სწავლების უამრავი დადებითი
თვისებისა, ხულიო კორტასარის მოთხრობაში „მშვიდობით,
რობინზონ“ მოთხრობილია, თუ როგორ გადაასხვავდნენ
კრუზოს კუნძული მეოცე საუკუნეში, როგორ მათნაქვს ტექნი-
კურმა პროგრესმა ბუნება... მოსწავლეს საჭიროდება მასწავ-
ლებელი, ფერადი, მზისფერი, ზღვისსუნიანი, მზიარული და
მგრძნობიარე, რადგან ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა, ადა-
მიანი, ბუნება, დედამიწაც კი, რომელიც დიდი ტექნიკური
ბურთულა გახდა ყველასათვის. მანამდე კი, სანამ ძველ რე-
ჟიმს დაუბრუნდებოდა, უყურეთ Silkschool.ge-ს.

ლია ბოზონია

ვლადიმერ კომაროვის თბილისის
ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი



➔ დრომ მოიტანა და უერად აღმოვჩნდით ფაქტის წინაშე. ერ-
თადერთი გზა მოსწავლეებთან ურთიერთობისა აღმოჩნდა დის-
ტანციური სწავლება. ორგანიზაციული თვალსაზრისით, ასეთი
ფორმატი სწავლის პროცესს გვერად უფრო ხელმისაწვდომსა
და მარტივს ხდის, ვიდრე განათლების კლასიკური მეთოდები.

➔ სხვა სიკეთესთან ერთად, დისტანციურმა სწავლებამ ისიც მო-
იტანა, რომ მოსწავლე-მასწავლებლებმა როლები შეიცვალეს,
რადგან მოსწავლეები უფრო გათვითცნობიერებულნი აღმოჩნ-
დნენ ამ საკითხში და უფრო კარგად აუღეს ალღო დისტანცი-
ურ სწავლებას.

➔ მე საზოგადოების იმ ნაწილს მივეკუთვნები, რომლისთვის
ურთიერთობები მნიშვნელოვანია და დისტანციურ სწავლებას
სკოლაში სიარული ურჩევნია, თუმცა, მიუხედავად ჩემი მოსაზ-
რებისა, უნდა ვაღიარო, რომ დისტანციური სწავლებაზე საკმა-
ოდ ეფექტურია.

➔ და მიუხედავად ონლაინ სწავლების უამრავი დადებითი თვი-
სებისა, ხულიო კორტასარის მოთხრობაში „მშვიდობით, რობინ-
ზონ“, მოთხრობილია, თუ როგორ გადაასხვავდნენ კრუზოს
კუნძული მეოცე საუკუნეში, როგორ მათნაქვს ტექნიკურმა პროგ-
რესმა ბუნება...

რეპორტი

დისტანსიური სწავლების საჭიროებას სულ სხვაბპარი გამოწვევების წინაშე დაბვყენა

(დასასრული, დასაწყისი იხ. №10)



ნათი კვიტანია
თერჯოლის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი

21-ე საუკუნე სწრაფი ცვლილების ეპოქაა. სამყარო ყოველდღიურად დგება ახალი გამოწვევების წინაშე. დღეს, როგორც არასდროს, ადამიანის უმთავრეს მოთხოვნილებად ფართო მასშტაბის სოციალიზაცია ხდება, რის დაქმყოფილებს ტექნოლოგიების გამოყენებით ახერხებს. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიც სწორედ ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენებაზე, ინფორმაციის მოპოვებაზე, დამუშავებასა და ანალიზზეა ორიენტირებული. მასწავლებელი და მოსწავლე, სასწავლო მიზნების შესაბამისად, მეტნაკლებად, ფლობენ და იყენებენ ტექნოლოგიურ უნარებს სწავლა-სწავლების პროცესში.

თუმცა, პანდემიამ განათლების სისტემა ახალი, ჯერ არნახული გამოწვევების წინაშე დააყენა. დადგა საჭიროება, სკოლა და სასკოლო საზოგადოება დისტანციური მართვისა და სწავლა-სწავლების ფორმაზე გადასულიყო. ფაქტია, მსგავსი სწავლების გამოცდილება განათლების მუშაკთა მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ჰქონდა, არადა საგანმანათლებლო სისტემაში, ახლა, მისი გამოყენების მაქსიმალიზება გახდა საჭირო. სასკოლო სივრცე უნდა შეეცვალა დისტანციურ კომუნიკაციას მასწავლებელსა და მოსწავლეს, მასწავლებელსა და სკოლის დირექციას შორის. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ კოლოსალური სამუშაო გასწავლა აპრობირებული პლატფორმის გამართვისათვის. კერძოდ, შექმნა სატელევიზიო სკოლის გაკვეთილები და, Microsoft office 365-ის პროგრამაში Teams აპლიკაციის გამოყენების მიზნით, შეიქმნა თითოეული მასწავლებლისა და მოსწავლის ელექტრონული კორპორაციული ფოსტები, ასევე, კლასების ჯგუფები და შესაბამისი ინფორმაცია მიენიჭა სკოლებს.

საკმაოდ რთული და შრომატევადი აღმოჩნდა სკოლისათვის აქამდე უცხო პროგრამის Microsoft office 365-ის გაგება, მასში ორიენტირება და მართვა. მით უფრო, რომ გაჩნდა საჭიროება სკოლის დირექციისა და კლასის ხელმძღვანელთა მიერ გააქტიურებული მოსწავლეებზე მართვისათვის ელექტრონული ფოსტები. მიუხედავად სირთულეებისა, თერჯოლის №1 საჯარო სკოლაში, ამჯერად, მოსწავლეთა ელექტრონული ფოსტები გამართულია. შექმნილია Teams ჯგუფები და ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა სკოლაში არსებულ ოცდაათივე კლასში. მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით წარმართავენ ვიდეო ჩართვებს. სპორტისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებიც კი ჯეროვნად მიმდინარეობს, სამინისტროს მიერ შემოთავაზებული პლატფორმის გამოყენებით. ეს კი, მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრების გააქტიურებას უზრუნველყოფს და მათ პასიურ რუტინულ ყოფას უზღავსებს.

თუმცა, შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ ყველაფერი საუკეთესოა. უამრავმა ტექნიკურმა თუ მატერიალურმა პრობლემამ იჩინა თავი. მოსწავლეთა კუთვნილი ტექნიკის, მათ შორის ბუკების გაუმართაობამ თუ მისი მოხმარების არასათანადო ფლობამ შეაფერხა ფოსტების ამუშავება და Teams პროგრამაში ჩართვა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სოციალური პრობლემებისა თუ საცხოვრებელი სახლის მდებარეობის გამო, ჩვენი სკოლის 640-მდე მოსწავლიდან, მხოლოდ 60-ს არ აქვს ინტერნეტის გამოყენების შესაძლებლობა, მაგრამ ისინიც აქტიურად ერთვებიან ტელესკოლის გაკვეთილებში.

როგორც იტყვიან, მედალს ორი მხარე აქვს. გარდა სირთულეებისა, აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეები განსაკუთრებული ენთუზიაზმით ერთვებიან ვიდეოგაკვეთილებში. ხშირ შემთხვევაში უჩვეულო მზაობასა და აქტიურობას იჩენენ, დასძენენ კიდევ – მართალია, საკლასო პროცესს არაფერი შეეძრება, მაგრამ ცხოვრების ამ ვითარებაში ვიდუგაკვეთილების ის შესაძლებლობაა, რომელიც არ გვაძლევს აზროვნების მოდუნების საშუალებას და სასწავლო პროგრამას სულ სხვა, საინტერესო მიდგომებით შეგვაძლევს ნებისებრობა.

ახალს არ ვიტყვი, თუ აღვნიშნავთ, რომ დისტანციური სწავლების საჭიროებამ პედაგოგები სულ სხვაგვარი გამოწვევების წინაშე დაგვყენა. ჩვენ მოგვინია მიგნება იმისა, თუ რა მეთოდებით შეგვეთავაზებინა სწავლების პროცესი მოსწავლეთათვის. აქ პრიორიტეტული აღმოჩნდა ის, რომ ეს პროცესი არ გამხდარიყო მომბეზრებელი და მსმენელს თანამშრომლობისთვის თავი შეგნებულად არ აერიდებინა. ამიტომ მისი მოსწავლეებს, „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მეთოდის გამოყენებით, ინტენსიურად ვანვლით სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მათთვის საინტერესო საშინაო სკოლის გაკვეთილების ვიდეოლინკებს და Teams ჩართ-

ვებისა ვმსჯელობთ დასმული საკითხების ირგვლივ. საკლასო ჯგუფებსა და ინდივიდებს მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს, თამაშის ელემენტებზე აგებულ აქტივობებს ვთავაზობთ. ძირითადად, მივმართავთ პრაქტიკული დავალებების შესრულებასა და კეთებით სწავლებას. ამით პროცესი უფრო სახალისო და მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირების გზით ცოდნაზე ორიენტირებული ხდება. გაიზარდა მშობელთა ჩართულობა. მათთვის უფრო ცხადი გახდა, რომ საკუთარი შვილების სწავლა-აღზრდის საქმეში თავად აკისრიათ უდიდესი პასუხისმგებლობა. ამის შედეგად, დისტანციურ საგაკვეთილო პროცესებში ისეთი მოსწავლეების პოზიტიური გააქტიურების ტენდენცია გამოიკვეთა, რომელთა სწავლისადმი მინაგანი მოტივაცია ხშირად დაბალი იყო.

ორიოდე სიტყვით მინდა სატელევიზიო სკოლის გაკვეთილებსაც შევეხო. სხვადასხვა კვალიფიციური პედაგოგის მიერ ბევრი საინტერესო, მეცნიერული თუ მეთოდური, მასალა შემოთავაზებული. მაგრამ კლასებისა და საგნების მიხედვით გაკვეთილებს შორის ხანგრძლივი შუალედების გამო, მსმენელის მომდევნო გაკვეთილისათვის მზაობა შედარებით ნაკლებია. მიუხედავად ამისა, სატელევიზიო სკოლის გაკვეთილები საჭირო და მნიშვნელოვანი გზავნილია ყველა მოსწავლესა და მასწავლებლისათვის.

შემიძლია ვთქვა, რომ თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, ამ რთულ და მეტად საპასუხისმგებლო გამოწვევების პერიოდში, სამინისტროს მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მაღალპროფესიული თუ ადამიანური პასუხისმგებლობით, პირნათლად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და წარმატებით ახერხებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას მომავალი თაობისა თუ ქვეყნის წინაშე.



ნათია აბულაშვილი
ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ

მასწავლებელი ყოველთვის იდგა სხვადასხვა გამოწვევის წინაშე, მაგრამ ვერაფერ იფიქრებდა ასეთი რამ თუ მოგვიჩვენებდა – გაგვეკეთებინა ორგანიზება და გადავსულიყავით დისტანციურ სწავლებაზე. ეს ადვილი არ იყო, მაგრამ შექმნილმა სიტუაციამ გავაერთიანა და გადაწყვეტილება მიგვაღებინა, რომ ყველურა ჩვენი მოსწავლეების მომავალზე.

სკოლის ყველა პედაგოგმა, თავდაუზოგავი მონაწილეობით, შეძლო დისტანციური მუშაობის გონივრულად აწყობა. მინდა გითხრა, რომ მართალია პედაგოგების ნაწილი კარგად ფლობს ციფრულ ტექნოლოგიებს, ნაწილი მეტნაკლებად, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ჰქონდა დისტანციური სწავლების სატელევიზიო ხარებით და გავარკვევით, რაც შეგვეძლო რომ გაგვეკეთებინა, ეს იყო მესინჯერ ჯგუფების შექმნა. ასე დავიწყეთ პირველი ჩართვები. ყველა კლასის ყველა საგნის მესინჯერ ჯგუფებში დავინყეთ საცდელი მეცადინეობების გამართვა, დავალებებისა და ვიდეოგაკვეთილების გავზავნა, ფაილების მიმარება, უკუკავშირების პირად მიმონერებში დაბრუნება. პირველივე დღიდან, სკოლის ადმინისტრაციამ დიდ ყურადღებას უთმობდით პირადი ინფორმაციის დაცვის კონტროლს და მოსწავლეთა კიბერუსაფრთხოების საკითხებზე ზრუნვას, გვექონდა საუბრები და მჭიდრო თანამშრომლობა მშობლებთან. თუმცა, ყველაფერი ერთბაშად არ დალაგებულა. იყო ხარვეზები: წვდომა ინტერნეტთან, ორჯერ ჩატარებული მეცადინეობები, რადგან მესინჯერში მ ადამიანზე მეტად კავშირი არ ხდება და სხვა, მაგრამ ნელნელა ავანყვეთ ყველაფერი. დავინყეთ ახალი პლატფორმის შესწავლა და მოვემზადეთ, რომ 30 მარტისთვის სკოლა ოფის 365-ის Teams ონლაინ პლატფორმაზე გადასულიყო.

გვინდა, ხაზგასმით აღვნიშნოთ დიდი მადლიერება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის მიმართ. ძალიან ორგანიზებულად მოგვანდეს კოლოსალური ნაშრომი – სკოლის მასწავლებლების და მოსწავლეების ექაუნთები და პაროლები. კიდევ უფრო დიდი მადლობა, რომ ამ პლატფორმაზე ყველა მასწავლებელს საკუთარი კლასები დახვდათ გამზადებულად. ასევე, განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრმა, უმოკლეს დროში, გაამარტევა პროგრამაზე ხელმისაწვდომობა და ყველა დაინტერესებული პირისთვის გაასაჯაროვა ინსტრუქციები, რაც პროგრამის შესწავლისა და ძალიან დაგვეხმარა. კიდევ ერთხელ უღრმესი მად-


ლობა მათ ამ მხარდაჭერისთვის.

სკოლის დისტანციური სწავლების ორგანიზების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი მეცადინეობების ხანგრძლივობის განსაზღვრა იყო. ამიტომ, გავეთვალისწინეთ სამინისტროს მიერ მოწოდებული რეკომენდაციები და შევექმნით სკოლის დისტანციური სწავლების ცხრილი, რომელშიც დროები ისე გადავანაწილეთ, რომ მოსწავლეებს ღია დავუტოვეთ დრო, ტელესკოლის გაკვეთილებს შეუფერხებლად რომ უყურონ.

ყველა მეცადინეობა კონკრეტულ საათზე იწყება. პირველიდან მეოთხე კლასამდე ონლაინ მეცადინეობის ხანგრძლივობა განსაზღვრული გვაქვს 20 წუთი. მოსწავლეს და მასწავლებელს 40 წუთი აქვს, რომ შეისვენოს და მოემზადოს ახალი საგაკვეთილო ჩართვისთვის. მეხუთედან ზემოთ, ყველა კლასში, მეცადინეობის ხანგრძლივობა 30 წუთამდე გავზარდეთ. საშუალო საფეხურზე შეუძლიათ, ნახევარ საათს გადაამეტონ, მაგრამ კონკრეტული საათისთვის მასწავლებელს უნდა დარჩეს მომზადების და დასვენების დრო და, რა თქმა უნდა, ხელი არ უნდა შეუშალოს ახალ საგანს. ასე მუშაობა, აკერ უკვე ერთი კვირაა, გამოვცადეთ და ყველაფერი კარგად მიდის.

ამ საკითხში შეიძლება ინოვაციური არ ვართ, მაგრამ სპორტის მასწავლებლები აქტიურად ჩავეერთნენ დისტანციურ სწავლებაში. ისინი დღის აერობიკის და მხიარული თამაშების ასაკობრივი ციფრული მასალების მოძიებით დაკავდნენ და ერთი კვირაა მოსწავლეებს Teams-ში ერთვებიან, მოუნდებენ ჯანმრთელი ცხოვრებისკენ, ასვენებენ ვირუსის საწინააღმდეგო აუცილებელ რეკომენდაციებს, ტანვარჯიშსა და დღის აერობიკაში ავარჯიშებენ. საშინაო დავალებად მხიარულ თამაშების ბმულს უგზავნიან. სპორტის გაკვეთილები ონლაინ კიდევ უფრო პოზიტიური გამოგვივიდა.

ასე რომ, სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლაში დისტანციური სწავლება გავმართეთ ოფის 365-ის პროგრამა Teams-ით. ბოლოს გვინდა, ვისურვოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში და, რა თქმა უნდა, საქართველოში. იმედი გვაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.



თამარ შანიია
ჭოგნარისა და კვანჭორის საჯარო სკოლების ვერმანული ენის მენტორი მასწავლებელი, განათლების დოქტორი

ქვეყანაში პანდემიის აცილების მიზნით, პრევენციული ზომების გატარების აუცილებლობამ, ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის მოითხოვა სასწავლო პროცესის აქამდე უჩვეულო ფორმატზე – დისტანციურ სწავლებაზე გადაყვანა.

როგორც მოგეხსენებათ, ინტერნეტსივრცეში, სოციალურ ქსელებს შორის, გამოყენების თვალსაზრისით, ყველაზე დიდი ინტენსივობით Facebook სახელდება, რადგან ის სასწავლო სივრცეში ჩართული საზოგადოებისათვის მისაღები და ხელმისაწვდომია. თუმცა, მოგვიანებით საჯარო სკოლებს სამინისტრომ Teams-ის საგანმანათლებლო პროგრამა შესთავაზა, რომელშიც, თერჯოლის რაიონის სხვა საჯარო სკოლების მსგავსად, სსიპ ბადრი ბაქსილადის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები აქტიურად ჩაერთვნენ. სკოლის მასშტაბით, ყველა კლასის დამრიგებელმა ოპერატიულად შეძლო Teams-ის პროგრამაში თავისი კლასის ყველა მოსწავლის რეგისტრირება, მშობლებთან სატელეფონო კავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მობილიზება და ონლაინ გაკვეთილების ჩატარებისათვის დღეებისა თუ საათების განაწილება ისე, რომ მოსწავლეთათვის ტელეგაკვეთილები ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

რაიონის ყველა სკოლაში და მათ შორის ჭოგნარის საჯარო სკოლის ყველა კლასის ყველა აღსაზრდელი (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), აქტიურად მონაწილეობს Teams-ის პროგრამაში დისტანციურად მიმდინარე საგაკვეთილო პროცესში. ამ პლატფორმით შესაძლებელი ხდება მოსწავლეთათვის როგორც დავალებებისა და ინფორმაციის მიწოდება, ასევე მათ მიერ შესრულებული დავალებების უკან დაბრუნება და, მათი შედეგებიდან გამომდინარე, პედაგოგთა მიერ ინდივიდუალური უკუკავშირების მიცემა. ხშირია შემთხვევა, როცა მოსწავლეთა მცირე ნაწილი, კალენდრით განსაზღვრულ დროით მონაკვეთში, ტექნიკური პრობლემების გამო, ვერ ახერხებს Teams-ის პროგრამაში საგაკვეთილო პროცესში ჩართვას. მოსწავლეთა ამ ნაწილს პედაგოგები ინდივიდუალურად უკავშირდებიან და აწვდიან სასწავლო მასალას როგორც Facebook-ჩათის, აგრეთვე მობილური ტელეფონის საშუალებით.

ჩვენი სკოლის რეალობაში მოსწავლეთა მიზერულ ოდენობას არ აქვს კომპიუტერი ან ისეთი მობილური მოწყობილობა, რომლითაც შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო პროგრამაში აქტიური მონაწილეობა. ასევე ამ კატეგორიის მოსწავლეთათვის ინტერნეტის ხელმიწვდომელ რესურსს წარმოადგენს, ამდენად, მათ მშობლებს კლასის დამრიგებლებმა

რაპორტი

ტელეკავშირების შესახებ მინათვის ინფორმაცია, აგრეთვე, პერმანენტურად ანგვიან სასწავლო შინაარსის მობილური ტელეფონის საშუალებით. სატელევიზიო არხით განხორციელებული ტელეკავშირები დიდ დახმარებას უწევს მოსწავლეებს, ნასწავლი მასალის გამოკრებიდან თუ ახალი სასწავლო თემატიკის წვდომის მიზნით. პედაგოგები, ამ მიმართულებით, მოსწავლეებს უზრუნველნიან დაეხმარებოდნენ და ისინიც ხალისით ერთვებიან დისტანციურ სწავლებაში.

სასწავლო გარემოში წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწავლის პროცესში face to face (პირისპირ) კომუნიკაცია შეუცვლელია, რაც სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და შემეცნებისადმი მოტივაციის ამაღლებას

მიზეზ-შედეგობრივად განაპირობებს. თუმცა, დისტანციური სწავლება, მსოფლიო მასშტაბით, საინტერესო გამოცდილებას მოიცავს, რაც, ზოგადად, მისი სოლიდური გამოცდილებისა და შედეგებიდან გამომდინარე, მისაღებას საგანმანათლებლო სივრცისთვის.

მომზადდა ლალი თვალაბიშვილი

ღირებულებები მონაცემების სწავლებაზე

სასკოლო საზოგადოებას სტატიკური მდგომარეობაში ყოფნის უფლება არ გვაქვს

როგორ აფასებენ სკოლის ღირებულებები მონაცემების სწავლებას, რამდენად სრულფასოვანია, მათი აზრით, დისტანციური სწავლების ფორმით მიმდინარე სასწავლო პროცესი, შესაძლებელია თუ არა ეს-ში დასახული მიზნების მიღწევა და მეორე სემესტრის პროგრამის სრულად ათვისება – გვესაუბრებიან თინათინ ალაშიძე, №175-ე საჯარო სკოლის ღირებულებების დირექტორი და გელა ოდიშელიძე, თბილისის №177 საჯარო სკოლის ღირებულებების დირექტორი.



თინათინ ალაშიძე
№175 საჯარო სკოლის ღირებულებების დირექტორი

◆ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში დავენერგეთ ელექტრონული უწყისი. ეს არის „სქელები“, რომლის საშუალებითაც მასწავლებლები მოსწავლეებს ყოველდღიურ რეჟიმში აწვდიან დაეხმარებას. დღევანდელი გარემოებიდან გამომდინარე, ამ პლატფორმას დაემატა ონლაინ გაკვეთილები. დაგვიჩიროს და საგაკვეთილო ცხრილის შეცვლა. თუმცა, ყველა მოსწავლეს არ აქვს საჭირო მოწყობილობა ნუსერიში და უჭირთ ჩართვა.

დისტანციური სწავლების მეთოდის გამოყენების სხვა პრაქტიკა არ გვქონია, თუ არ ჩავთვლით ერთეულ შემთხვევებს, შინ სწავლების რეჟიმზე გადაყვანილ მოსწავლეებთან.

◆ ჩვენს სკოლაში, 2500 მოსწავლე სწავლობს და 134 მასწავლებელი ასწავლის. შესაბამისად, პრობლემატურია. ძირითადი პრობლემა ინტერნეტთან წვდომა და ტექნოლოგიური აღჭურვილობაა. სამწუხაროდ, გვეყავს მოსწავლეები, რომლებიც ვერ ერთვებიან დისტანციური სწავლების პროცესში იმიტომ, რომ არადადეგების პერიოდში ქალაქიდან გავიდნენ, იქ კი, ინტერნეტი არ აქვთ.

◆ დისტანციური სწავლებისას სასწავლო კურსი, თავიდან ბოლომდე, ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს. სწავლების ეს მეთოდი ძალიან მოსახერხებელი ფორმაა. თანამედროვე ეპოქაში ბევრი შესაძლებლობა არსებობს ამისთვის, თუმცა ჩვენთან, დღესათვის, გვხვდება ბარიერები. ხელისშემშლელი არსებული კონტენტის, სასწავლო გარემო და პროგრამების შინაარსი. რამდენად არის მოსწავლე მზად სასწავლო პროგრამის კონკრეტული პროგრამის, ელექტრონული მეთოდის გამოყენებით გასაგებლად, აქვს თუ არა შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, ამას ემატება ტექნიკური და სოციალური ფაქტორიც.

◆ დისტანციური სწავლება ტექნიკური საშუალებების გამოყენების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მოითხოვს. ჩვენი მასწავლებლების უმრავლესობა ამ გამოწვევისთვის მზად არ იყო და ახლა ეცნობიან საგანმანათლებლო პლატფორმებს, ცდილობენ მათ გამოყენებას. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, განათლების სამინისტროსთან ერთად, ძალიან გვეხმარება ამ პროცესის უკეთ წარმართვაში. სკოლებს შესთავაზეს Microsoft 365-ის პროგრამა, Teams-ის გამოყენება, შექმნეს ვირტუალური საკლასო ოთახები. მასწავლებლებმა მიიღეს პროგრამის გამოყენების გაზიარებული ვიდეოინსტრუქციები, სადაც დეტალურადაა ახსნილი პროგრამის შესაძლებლობები. კითხვების არსებობის შემთხვევაში, სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფი.

სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებსა და მშობლებს, დისტანციური სწავლების ხელშეწყობისთვის და Microsoft Office 365-ის სრულფასოვნად ათვისებისთვის, დახმარებას გვიწვევენ ტექნოლოგიების ექსპერტები და EMIS-ის წარმომადგენლები.

◆ შეიძლება ითქვას, რომ არსებობს გარკვეული რისკი და განსაკუთრებით მაღალია მასწავლებელთა შემთხვევაში, რადგან ისინი უფრო მწვავედ აღიქვამენ და რთულად ეგუებიან სიახლეებს. მსგავსი გამოცდილებისა და შესაბამისი საჭირო უნარ-ჩვევების არქონის გამო უწინდებით შიშის განცდა სიახლის მიმართ, თუმცა, მთავარია არ შემინდნენ, ამ საკითხში უმრავლესობა დილემანტი და ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს. მათ პირველად უწევთ დისტანციური სწავლების მეთოდით სარგებლობა.

◆ სკოლაში არსებული რესურსი ძალიან მწირია და ვფიქრობ, ამ პრობლემას დამოუკიდებლად ვერ მოგვარდება. სასურველი იქნება სახელმწიფომ უზრუნველყოფს ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა.

◆ სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომწვევაა. მშობელთა თანადგომის გარეშე, დღეს, მასწავლებლებს, გაუჭირდებათ შედეგების მიღწევა. სასურველია მშობელმა სკოლისგან ან მასწავლებლისგან მიიღოს ინფორმაცია და საკითხში სჭირდება ბავშვს მშობლის დახმარება და როგორ დაეხმაროს შვილს. მშობელი ერთ-ერთი მთავარი რესურსია, რომელიც მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს.

◆ ნამდვილად არ მაქვს იმის ილუზია, რომ სწრაფად დავეუფლებით დისტანციური სწავლების მეთოდს და შევქმნით პროგ-

რამებს, თუმცა მასწავლებლები მიიღებენ ცოდნას და გამოიმუშავენ ტექნოლოგიების ფლობის უნარ-ჩვევებს. საკლასო სივრცეში დაბრუნების შემდეგ კი, ახალ ცოდნას დაუფლებულნი, უკეთესად წარმართავენ სასწავლო პროცესს.

დისტანციურ სწავლებასთან ერთად, შესაძლებელია სასკოლო სასწავლო გეგმების მოდიფიცირება ისე, რომ მოსწავლემ საფეხურის ფარგლებში შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული შედეგის მიღწევა. საბედნიეროდ, ამის საშუალებას გვაძლევს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა.



გელა ოდიშელიძე
თბილისის №177 საჯარო სკოლის ღირებულებების დირექტორი

◆ ყველასთვის კარგად ცნობილი მიზეზის გამო შექმნილმა ფორსმაჟორულმა მოცემულობამ ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებები საკმაოდ სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მასშტაბით, რეალური სასწავლო პროცესის დისტანციური სწავლების რომელიმე ფორმით სრულყოფილად ჩანაცვლება დღეს შეუძლებელია, თუმცა სასკოლო საზოგადოებას სტატიკურ მდგომარეობაში ყოფნის უფლებას ეს არ გვაძლევს. თითქმის 2 თვის განმავლობაში სასწავლო პროცესის იძულებით შეწყვეტა ანგარიშგასაწვევად ზარალს მოგვაყენებს, ამიტომ იძულებული ვართ, აქტიურად ვიმოქმედოთ სწავლა-სწავლების სხვადასხვა ალტერნატივის დასაწერად, რაც სასწავლო პროცესის შეწყვეტით მიღებულ ზიანს მინიმუმამდე დაიყვანს.

გარკვეულწილად, ფუფუნებაა სამინისტროს მხრიდან Microsoft-ის ლიცენზირებული პროდუქტების სკოლებისთვის შეთავაზება, რომლის დანერგვაც ერთ წელზე მეტია მიმდინარეობს საჯარო სკოლებში, თუმცა ინტენსივობის ხარისხი არ იყო მაღალი. ჩვენი სკოლის მაგალითზე, აქტიურად ვცდილობთ, სკოლის მოსწავლეებს და მასწავლებლებს სოციალური ქსელების გამოყენებით მივანოდოთ ყველა საჭირო ინფორმაცია თუ ინსტრუქცია Microsoft-ის რამდენიმე პროდუქტის დასაწერად. გარკვეულ დონეზე, უკვე შესაძლებელია ამ პროდუქტებით სარგებლობა და მოხმარების არეალიც ნელ-ნელა ფართოვდება. პარალელურ რეჟიმში, სოციალური ქსელების აქტიურ გამოყენებით, მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მოსწავლეთა მშობლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია.

მოსწავლეებთან სოციალური ქსელებით კომუნიკაციის და ინფორმაციის სწრაფად გაცვლის გამოცდილება თითქმის ყველა მასწავლებელს აქვს, მაგრამ სწავლა-სწავლების პროცესისთვის ნაკლებად გამოიყენებოდა.

◆ მოცემულ მდგომარეობაში გამოყოფთ სამ ძირითად პრობლემას:

1. ყველაზე უფრო მტკივნეულ პრობლემად აღიქვამს სოციალური სეგრეგაციის საფრთხეს და ახლა, ამ მიმართულებით, სკოლის შესაძლებლობები მინიმალურია.
2. ინტერნეტზე წვდომის, ინტერნეტით სარგებლობისთვის მოწყობილობების ქონის და მათი მდგომარეობის, აგრეთვე, მოწყობილობებით სარგებლობის უნარ-ჩვევების ქონის სხვადასხვა ხარისხის პრობლემა – სერიოზული გამოწვევაა.
3. ანგარიშგასაწვევად პრობლემად ვხედავ დისტანციური სწავლების როგორც დანერგვის, ისე სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ეფექტური მონიტორინგის შესაძლებლობას, რაც მიღწეული შედეგების თუ არსებული პრობლემების ობიექტური სურათის მისაღებად აუცილებელია.

◆ 21-ე საუკუნეში, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში, დისტანციური სწავლება სრულიად მისაღები რეალობაა, თუმცა, გასათვალისწინებელია როგორც გეოგრაფიული და აკადემიური მასშტაბები, ისე სწავლებაში ჩართული პერსონების ასაკი. საუნივერსიტეტო სივრცეში დისტანციური სწავლების დანერგვა კონკრეტული მიმართულებით სრულიად რეალისტური და ეფექტურია. რაც შეეხება ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებს, კრიტიკულ მდგომარეობაში აქაც გამართლებულად მიმაჩნია, საქართველოს მაგალითზე, მაღალმთიან რეგიონებში, სადაც კვალიფიციური მასწავლებლების მოპოვების სერიოზული პრობლემა გვაქვს, ვფიქრობ,

დისტანციური სწავლების ფორმა, გარკვეული დათქმებით და ორგანიზებით, ყველაზე უფრო ეფექტური და ეფექტიანი იქნება სასურველი შედეგების მისაღებად.

◆ მასწავლებლები, მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც სერიოზული გამოწვევის წინაშე დგანან, მაგრამ მათი მონდომებით, ერთმანეთის დახმარებით, ოჯახურ დონეზე მობილიზებით, სკოლის ადმინისტრაციის ტექნიკური და საინფორმაციო მხარდაჭერით ანგარიშგასაწვევად წარმატებას აღწევენ.

ძირითად პრობლემას წარმოადგენს ინტერნეტთან წვდომა, კომპიუტერული ტექნიკა და ამ მოწყობილობებით ეფექტურად სარგებლობის უნარ-ჩვევები.

◆ რეალობაა, რომ საჯარო სკოლების მასწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილი არც დისტანციური სწავლების გამოცდილება აქვს და კომპიუტერული ტექნიკის ფლობის უნარ-ჩვევებიც სათანადოდ დონეზე არ აქვთ. ბუნებრივია, ამ კატეგორიის მასწავლებლები კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში არიან, რადგან აქვთ პასუხისმგებლობა და შეიქმნა რეალობა, სადაც როგორც მოსწავლეებისა და მათი მშობლებისგან, ისე სკოლების ადმინისტრაციებისგან და სახელმწიფოსგან გაჩნდა დაკვეთა და/ან მოლოდინი მათგან ამ ფორმით სერვისის მიღებისა.

არ უნდა გვქონდეს ცრუ მოლოდინი, რომ იდეალური შედეგები გვექნება, მაგრამ ამ პერიოდში, ეს ადამიანები კოლეგების, ოჯახის წევრების, სკოლის ადმინისტრაციის და მათ შორის მოსწავლეების დახმარებითაც, მნიშვნელოვან წარმატებებს მიღწევენ და გაძლიერდებიან.

◆ სამწუხაროდ, მოცემულ რეალობაში, განათლების მიღების პროცესში თანასწორობის პრინციპის დაცვის შესაძლებლობა საფრთხის ქვეშ დგას. ეს პრობლემა ყველაზე უფრო მტკივნეულია. სერიოზულ გამოწვევად აღვიქვამ არა მარტო იმ მოსწავლეების მდგომარეობას, ვისაც მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები არ აქვს, ჩაერთოს დისტანციური სწავლების პროცესში, არამედ იმ მოსწავლეების მდგომარეობასაც, ვინც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა და მათთან კომპლექსური მუშაობა მიმდინარეობდა, მათ შორის სოციალური უნარების გასავითარებლად. ამ მხრივ, სკოლის ბერკეტები დღეს ძალიან მცირეა, თუმცა მასწავლებლებს და სპეციალური მასწავლებლები შეეცდიებიან, მშობლების ჩართულობით, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით, გარკვეული მითითებები მისცენ მოსწავლეებს; გასათვალისწინებელია, რომ ყველა მოსწავლეს ნივთები სახლში აქვს და მშობლების თანამონაწილეობით შესაძლებელი იქნება გარკვეული აქტივობების განხორციელება.

სოციალური სეგრეგაციის თავიდან ასაცილებლად უდავოდ პოზიტიური, დროული ინიციატივაა სამინისტროს და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტი – „ტელესკოლა“. პასუხისმგებელიანი მშობელი, ამ პროექტის ფარგლებში აქტიურობითაც, შეუწყობს ხელს მისი შვილის განვითარების დინამიკას.

◆ მოზარდთა განვითარების პროცესში მშობელთა ჩართულობის როლი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია; განსაკუთრებით ახლა, როდესაც მოსწავლესთან ელემენტარულ დონეზე კომუნიკაცია, მშობლის ძალისხმევით გადის, შეუძლებელია. ჩვეულებრივ სასწავლო პროცესში, მოსწავლე სკოლაში ყოფნის პერიოდში, დროებით, ასე თუ ისე, დისტანცირებულია ოჯახის კულტურულ-სოციალური მოცემულობიდან და შესაბამისად, მასწავლებლის ბერკეტები უფრო მყარია და პასუხისმგებლობის ხარისხიც მაღალი. იმ რეალობაში, რომელშიც ახლა ყველა აღმოეჩნა, მოსწავლეთა მშობლების პასუხისმგებლობის ნონა კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან ოჯახში მყოფ მოზარდებს ხელი უნდა შეუწყონ არა მხოლოდ ორგანიზებული კულტურულ-სოციალური რეალობის შექმნით, არამედ აქტიური მორალურ-ფსიქოლოგიური მხარდაჭერითაც. ასეთ რეალობაში ცხოვრება ზრდასრული ადამიანებისთვისაც ძალიან რთულია და მოზარდებისთვის – კიდევ უფრო რთული!

✓ დისტანციური სწავლების მეტ-ნაკლებად ხარისხიანად დაენერგა შესაძლებელია, თუ:

- ✓ მივიღებთ რაციონალურ-რეალისტურ გადაწყვეტილებებს;
- ✓ ვივლით პასუხისმგებელიანი და სოლიდარული;
- ✓ ვიმოქმედებთ აქტიურად და ვაუზიარებთ გამოცდილებებს;
- ✓ არ შევუშინებთ პრობლემებს და არ დავეკარგებთ იმედს;
- ✓ დავიცავთ უსაფრთხოების ნორმებს და ამით გავუფრთხილებთ ერთმანეთის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს.

აპიტურინგაჲ დისტანციურ სწავლაჲზე

დრო ხომ მარტო ჩვენთვის არა, დედაინაზე გარდა, მსოფლიო გაიჩინდა...

მას შემდეგ, რაც კორონავირუსის პანდემიის ფონზე და-
ვინყეთ ცხოვრება, ხშირად გვეხმარება სიტყვები: „თვითიზოლა-
ცია“, „კარანტინი“, „სოციალური დისტანცირება“, „დისტან-
ციური სწავლება“... ჩვენი ლექსიკაც შეიცვალა და ცხოვრე-
ბის წესიც. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო
პროცესი შეჩერდა, მიმდინარეობს დისტანციურ სწავლებაზე
გადასვლა, რაც, მეთორმეტეკლასელების შემთხვევაში, გან-
საკუთრებით საყურადღებოა, რადგან მათ, ზაფხულში,
ეროვნული გამოცდები უნდა ჩააბარონ. აბიტურიენტები გა-
მართული სასწავლო პროცესის პირობებშიც კი დღეღამე
ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით, ადვილი წარმოსად-
გენია, რას განიცდიან დღეს. დღევანდელი ვითარების ბუნ-
დოვანება მათთვის, ალბათ, ძალიან დიდი დისკომფორტია.
მოვუსმინოთ აბიტურიენტებს და ვნახოთ, როგორ აფასე-
ბენ ისინი დისტანციურ სწავლებას და, ზოგადად, დღეს შექმ-
ნილ ვითარებას.

ლიზა ჩხარტიშვილი, 195-ე საჯარო სკოლა

კორონავირუსმა Covid-19, რომელიც სულ რამდენიმე თვის
წინ გამოჩნდა ჩინეთში და მსოფლიო თავდაყირა დააყენა, განს-
ხვავებული წესები შემოიტანა განათლების სისტემაშიც. მსოფ-
ლიო მასშტაბით მილიონობით ბავშვი დარჩა სწავლის მიღე-
ბის საშუალების გარეშე, დაიხურა სკოლები, უნივერსიტეტები და
ყველა სხვა სასწავლო დაწესებულება. შესაბამისად, ონლაინ
სწავლება აღმოჩნდა ის ერთადერთი რამ, რამაც მოგვცა საშუ-
ალება, ადამიანებს, რომლებსაც უნდოდათ სწავლა და ამასი
მასწავლებლის მითითებები სჭირდებოდათ, მიეღოთ ეს. თავის-
თავად ონლაინ სწავლება ძალიან კარგი შესაძლებლობაა. მას
ბევრი დადებითი მხარე აქვს: იზოგება ძალიან დიდი რესურსი,
მაგალითად, ქალაქი, რომლისთვისაც მრავალი ხე იჭრება;
გარდა ამისა, საკუთარ სახლში მასწავლებელიც და მოსწავლეც
უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, რაც, შესაძლოა, მოტი-
ვაციის წყაროდ იქცეს.

თუმცა, სამწუხაროდ, ამ ჯერჯერობით ერთადერთ ალტერ-
ნატიულ საშუალებას, რომ მოსწავლეები არ დავრჩეთ სრული-
ად უკონტროლოდ და უსწავლელად, ბევრი უარყოფითი მხარე
და სირთულე ახლავს თან, პირველ რიგში – ინტერნეტთან
წვდომა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ძალიან ბევრი ქვე-
ყანა ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია, მაინც არ უნდა
დაგვაინყდეს, რომ არსებობს ძალიან ბევრი სოფელი, ქალაქი
თუ სახელმწიფო, სადაც ინტერნეტი არ არის და რომლის მო-
სახლეობასაც არ აქვს საჭმლის ფულიც კი, შესაბამისად, მათ
არ აქვთ არც ტელეფონი, არც კომპიუტერი და ბევრს – წიგნიც.
გარდა ამისა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სრულფა-
სოვანი სწავლება წარმოუდგენელია ექსპერიმენტების ჩატარე-
ბის გარეშე, რასაც სპეციალური აღჭურვილობა, ლაბორატო-

რია და პროფესიონალი დამკვირვებელი სჭირდება. შესაძლოა,
ამის ნაცვლად, ინტერნეტ სივრცეში არსებული ბევრი ფოტო
და ვიდეომასალა გამოიყენოთ, თუმცა ის არ იქნება ისეთი სა-
სარგებლო, როგორც მოსწავლისთვის საკუთარი ხელით ჩატა-
რებული ცდის შედეგის ნახვა. გარდა საბუნებისმეტყველო
მეცნიერებებისა, ხელოვნების, კერძოდ, ხაზვისა და ხატვის,
ასევე მათემატიკის სწავლება ძალიან რთულია, ბევრ მასწავ-
ლებელს სახლში არ აქვს ყველა საჭირო პირობა იმისთვის, რომ
კამერაში ბავშვს აჩვენოს, მაგალითად დაფა, ან არ აქვთ კარგი
ხარისხის კამერა, რომლის გარეშეც ბევრი საგნის შესწავლა
რთულდება. კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა, თავის მხრივ, ძა-
ლიან ბევრ ჯანმრთელობის პრობლემას იწვევს, როგორცაა
სტრესი, უმძობარობა და მისგან გამოწვეული სისხლძარღვების
პრობლემები, მხედველობის დაზიანება და სხვა.

ერთი სიტყვით, დღეს არსებული საზოგადო რეალობიდან
გამომდინარე, ერთადერთი გამოსავალი ონლაინ სწავლებაა,
თუმცა მისი რისკები საკმაოდ დიდია, ამიტომ იმის დაჯერება,
რომ ონლაინ სწავლება იძლევა ზუსტად იმდენს, რამდენსაც
სკოლის გაკვეთილი, ილუზიაა, თან არ უნდა დაგვაინყდეს,
რომ ჩვენ გვერდით ცხოვრობს ათასობით ბავშვი და სტუდენ-
ტი, რომლებსაც არ აქვთ წვდომა ჩვენთვის ასე საჭირო და საყ-
ვრელ ინტერნეტთან.

ნინოზა საყვარელიძე, 161-ე საჯარო სკოლა

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, განათლების სა-
მინისტრომ მოახდინა სრულიად ჯანსაღი და ადეკვატური რეა-
გირება იმის თაობაზე, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებ-
ებში დროებით შეჩერებულიყო სწავლა და გადასულიყვნენ
დისტანციურ, ე.წ. ონლაინ სწავლებაზე.

დისტანციური სწავლება ეს გახლავთ სწავლების ფორმა
შექმნილი მოსწავლისთვის, რომელიც აუდიტორიაში ან კლასში
ფიზიკურად არ იმყოფება. ეს არის პროცესი, რომელიც ხელმი-
საწვდომს ხდის სწავლას, როდესაც მასწავლებელი, ლექტორი
და მოსწავლე ერთმანეთისგან სივრცით დაშორებული არიან.
ამ მეთოდმა ევროპის არაერთ ქვეყანაში გააბართლა და მათ
წარმატებით დაიწყეს ამ გზით მუშაობა, თუმცა ისევე, როგორც
ყველა სისტემას, ამ სისტემის გამართვასაც დიდი დრო და ძა-
ლისხმევა სჭირდება. დრო კი მიდის, განსაკუთრებით ჩვენთვის,
აბიტურიენტებისთვის, რომლებსაც ყველაფერი გვექაჩებო-
და – საპროგრამო მასალის დროულად დამთავრება, გადაამეო-
რება, ბოლო ზარი, სკოლის დამთავრება, მისაღები გამოცდები,
სტუდენტობა და ა.შ. მაგრამ რას ვიზამთ, დრო ხომ მარტო
ჩვენთვის არა, დედამიწაზე გაჩერდა, მსოფლიო გაიჩინდა...

ვფიქრობ, ცოტა რთულია სკოლის მოსწავლისთვის იმის გა-
აზრება, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მისი კეთილ-
დღეობისა და წინსვლისთვის კეთდება და რომ მოეკიდოს ამ

ყველაფერს სრული სერიოზულობით, კონცენტრირდეს ასი
პროცენტით ამ საკითხზე მაშინ, როდესაც მასწავლებელი
ინყებს გაკვეთილის ახსნასა თუ გამოკითხვას. გარდა ამისა, გა-
სათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეს ყველაფერი გათვლი-
ლი უნდა იყოს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ქალაქის გარდა ხომ
უამრავი რაიონია, სადაც არ არის ხელმისაწვდომი ინტერნეტი
ისე, როგორც ქალაქში, თუმცა დღეს ინტერნეტს ქალაქშიც გაუ-
ჭირდა. ასევე საჭიროა იმ სისტემის იდეალურად გამართვა,
რომლითაც მოსწავლე უნდა დაუკავშირდეს მასწავლებელს.
მოკლე დროში ამ ყველაფრის ორგანიზება, ვფიქრობ, ძალიან
რთულია. სხვა გზა არ არის, დისტანციური გაკვეთილები რო-
გორც დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის, ისე აბიტურიენტ-
თათვის, ერთადერთი გზაა სწავლის გაგრძელებისა და შანსი
იმისა, რომ მივიღოთ განათლება, არ შეწყდეს მეცადინეობა და
სრულფასოვნად ჩავაბაროთ ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ლევან ღოღოძე, 161-ე საჯარო სკოლა

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მოსწავლეებსა და
სტუდენტებს მოუწიათ სწავლის ონლაინ რეჟიმზე გადასვლა.
სწავლის კონკრეტული მეთოდი, ჩემი აზრით, უფრო ეფექტურია
უნივერსიტეტებში, ვიდრე სკოლებში. სტუდენტები მიჩვეულები
არიან კომპიუტერული მონაცემების გამოყენებას სწავლისთე-
ვის და მათ ადაპტაცია არ დასჭირვებიათ. ლექცია ძირითადად
ცალმხრივი კომუნიკაციის ხასიათს ატარებს და არ მოითხოვს
სტუდენტებისგან მუდმივ ჩართულობას, ხოლო გაკვეთილი მიმ-
დინარეობს ორმხრივად. მასწავლებელი სვამს შეკითხვებს,
ამომხმობს მოსწავლეებს, ხსნის ახალ მასალას. გაკვეთილის ჩატა-
რება ბევრად რთულია ონლაინ რეჟიმში, რადგან მიუხედავად
ტექნოლოგიური განვითარებისა, დღესდღეობით, არ გვაქვს
პლატფორმა, სადაც შევძლებთ უზარეზოდ და დაყოვნების
გარეშე დავამყაროთ კავშირი. ასევე, ვფიქრობ, რომ გაკვეთილის
ჩატარება ტექნიკური განხრით კიდევ უფრო დიდ პრობლემას-
თან ასოცირდება. როდესაც ტარდება ტექნიკური გაკვეთილი,
მასწავლებელი ხშირად იყენებს დაფას, რათა მოხდეს კონკრე-
ტული ამოცანისა თუ მასალის ვიზუალიზაცია. ონლაინ რეჟიმში
მასწავლებელს ეს ბერკეტი არ გააჩნია და, შესაბამისად, მასალის
ათვისება უფრო რთულდება. ზოგი ფიქრობს, რომ ვიდროზა-
რის შემთხვევაში მასწავლებელი უპრობლემოდ აჩვენებს თავის
დაფას მოსწავლეებს და ისე ჩაატარებს გაკვეთილს, მაგრამ ვი-
დეოზარის შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა რომელი მონყო-
ბილობით ხარ დაკავშირებული, ვიდრე ხარისხი ყოველთვის და-
ბოლია და დაფაც არ ჩანს. ჰუმანიტარული საგნების შემთხვევა-
ში, გაკვეთილის ჩატარება ბევრად ადვილია და რეალური გაკვე-
თილის ეფექტურობას არ ჩამოუვარდება.

მოაზადა ლალი თვალაბიშვილი

გართობით სწავლა

საზაფხულო სკოლა

როცა ჩემს მეოთხეკლასელებს საზაფხუ-
ლო სკოლის შექმნის იდეა და პროგრამა გავა-
ცანი, ყველა სიხარულით დათანხმდა ჩართუ-
ლიყო. პროგრამას თავიდან გადავხედეთ და,
მოსწავლეთა სურვილით, რამდენიმე ცვლი-
ლება შევიტანეთ. ასეთმა ენთუზიამა ჩემი
პასუხისმგებლობა ერთიორად გაზარდა. ამდე-
ნი ანთებული თვალი შემომყურებდა და ელო-
და ჩემგან რუტინული სასწავლო წლის საოც-
ნებო დასასრულს და მე ვალდებული ვიყავი,
ლაშაზი ზღაპარივით დამესრულებინა იგი.
ზოგადად, საზაფხულო სკოლა ზოგმა მშო-

ბელმა და ბავშვმა აღიქვა, როგორც სასწავლო
ზაფხულში დასვენების დროს, მაგრამ თუ პე-
დაგოგი სწორად მიიტანს მშობლამდე და ბავშ-
ვამდე საზაფხულო სკოლის არსს, ჩართულობა
მაქსიმალური იქნება. საზაფხულო სკოლა – ეს
არის გართობით სწავლა. იგი ნებაყოფლობი-
თია. დიდი საზაფხულო სკოლის სარგებელი
მოსწავლეებისთვის. იგი ავითარებს:
• აკადემიურ უნარებს;
• ხელს უწყობს პიროვნულ ზრდას;
• ცოდნის დონეს ამაღლებს;
• ხელს უწყობს ბავშვების დაახლოებას;

- ნაკლებად სტრესული გარემოა და ბავშვები უკეთ არიან ფოკუსირებული სწავლაზე;
- ეხმარება მოსწავლეებს ნასწავლის განმტკიცებაში და შემდეგი წლისთვის მომზადებაში.
- ასევე, სარგებელი მოაქვს მასწავლებლისთვის:
- სძევს ახალ პროფესიულ უნარებს;
- მატებს გამოცდილებას;
- აძლევს შესაძლებლობას, მაქსიმალურად დაუახლოვდეს ბავშვს;
- აქვს სრული თავისუფლება პროგრამის შედგენისას;
- პროგრამას მთლიანად არგებს მოსწავლე-თა ინტერესებს და საჭიროებებს;
- არ არის ორიენტირებული პროგრამის ამო-წურვაზე, არამედ კარგად სწავლაზე;
- დიფერენცირებული სწავლების და საგან-თა ინტეგრაციის მეტ საშუალებას იძლევა;
- საინტერესო თავდასავლებიც ბლომადაა.

პირველი საზაფხულო სკოლა, რომელიც განვახორციელე ჩემს მე-4 კლასთან, იყო მათე-მატიკაში. სკოლის ჩამოყალიბების მიზანი იყო სასწავლო წლის მანძილზე დაგროვილი ხარვე-ზების აღმოფხვრა. თუმცა, შეიძლება, სა-ზაფხულო სკოლა ძლიერი უნარების კიდევ უფ-რო გაძლიერების მიზნითაც განხორციელდეს.

მეცადინეობები უფრო სახალისო და საინ-ტერესო რომ ყოფილიყო, სხვადასხვა გარემო-ში ჩავატარეთ. აქტივობებიც მრავალფეროვა-ნი გვექნა, ყოველდღიურად იყო მათემატი-კური კარტი ან მიზანზე გამოსვლილი სხვა სა-ხის თამაშები. ასევე, ჩვენი ყოველი საზაფხუ-ლო სკოლის აუცილებელი და ყველაზე სახა-ლისო აქტივობაა ლაშქრობა. ამ აქტივობას კი-დედ უფრო მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე რო-მელიმე კონკრეტული სასწავლო საგნის და-უფლება. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მოს-წავლეებმა გაიხსენეს, ქართულში შესწავლი-ლი, ნ. ნაკაშიძის „ულუ და თეთ“, შეიმოსნენ პირველყოფილი ადამიანების სამოსით და გა-ითამაშეს სცენები ამ მოთხრობიდან.



წელს პირველი კლასი მყავს. ძალიან მინ-და, ობიექტურმა გარემოებებმა ხელი არ შე-მიშალოს და ჩემი მოსწავლეები ჩავრთო ქარ-თული ენის საზაფხულო სკოლაში, რომელიც მინდა შექმნა კითხვის უნარების განვითა-რებისა და წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით. ეს სკოლა საშუალებას მომცემს, არა მარტო დავწერო მოსწავლეებში წიგნის სიყ-ვარული, არამედ გავცდე სკოლის ჩარჩოებ-და მაქსიმალურად დავტვირთო წინმსწრები განვითარების მქონე მოსწავლეც.

ნასაკითხი ძალიან ბევრია. გირჩევთ, გა-მოვიყენოთ საზაფხულო სკოლის ამ მიზნით და უფრო საინტერესო და სახალისო გავხა-დოთ სწავლა და დასვენება.

დალი ზოგოხიძე

ვანის რაიონის სოფელ ზინდარის საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
<https://www.brightmontacademy.com/blog/the-benefits-of-summer-school/?fbclid=IwAR3-PIIEohyFtyj-DmOgm6RvFISkH2RHwNM3PdQZMKkIbVxdtekU8-oKJP1b0>;
https://www.brightmontacademy.com/blog/the-benefits-of-summer-school/?fbclid=IwAR21hIXOr3plLdl-9JfPpIbaBdK_aotTly34BRJ8xC_C3dcfYrZkizHDio



სამუშაოში დაბრუნებული სტუდენტების „იძულებითი არდადეგები“



მეზი დინასამიძე

ამერიკის Lake Forest College-ის სტუდენტი

ბავშვობიდან ბევრი რამით ვიყავი გატაცებული და არასდროს ვკმაყოფილდებოდი ერთი კონკრეტულით. როცა გავიზარდე, გავანალიზე, რომ სოციალისტური დანესებული „ერთი ხელოვნება“ ჩემი საქმე არ იყო, ერთდროულად რამდენიმეს შესწავლა მინდოდა. დედაჩემს ჩემი ყოველთვის ესმოდა და მხარს მაქსიმალურად მიჭერდა მაშინაც კი, როცა ზუსტად ვერ ხვდებოდა რაზე ვსაუბრობდი. ოჯახისგან მოცემულმა ამ თავისუფლებამ გადაამწყვეტინა ამერიკული უნივერსიტეტების Liberal Arts-ის პროგრამების გათვალისწინება, რაც, მოკლედ რომ ვქტვა, განათლების მიმართ ინტერდისციპლინურ მიდგომას ნიშნავს.

გერმანიაში ორწლიანი IB პროგრამის დასრულების შემდეგ, ამერიკის Lake Forest College-ში გადავწყვიტე სწავლის გაგრძელება. ეს უნივერსიტეტი ჩიკაგოს შემოგარენში მდებარეობს და, იქაური სტანდარტების გათვალისწინებით, საშუალო ზომის უნივერსიტეტად ითვლება. ეს საშუალებას

მაძლევს, პროფესორებთან ხშირი კონტაქტი მქონდეს, ახლო ურთიერთობა დავამყარო და შესაბამისად, პროფესორებიც მიცნობენ არა როგორც „ერთ-ერთ სტუდენტს“, არამედ როგორც მეგობარს. უნივერსიტეტში, ამჟამად, ნეირომეცნიერებას ვსწავლობ, ასევე ნინასამედიცინო კურსებს ვეღებო. მოგესხენებათ, აქ მედიცინა ერთ-ერთ ყველაზე რთულ დარგად ითვლება და სწავლა მხოლოდ ბაკალავრის დასრულების შემდეგაა შესაძლებელი. ამ მხრივ, პრობლემა არ მექმნება, თუმცა, ეს საქართველოში ყველას უკვირს და, როცა ინტერესდებიან, ამის ახსნა რამდენჯერმე მჭირდება.

კორონავირუსის გავრცელების გამო, უნივერსიტეტში, საგანგებო დასვენებები ერთი კვირით გაგვიგრძელდა. რამდენიმე დღის განმავლობაში უნივერსიტეტი სპეციალურ საგანგებო ვითარებაზე გადავიდა, რაც მოიცავდა ელექტრონული წიგნების ინტერნეტპორტალზე ატვირთვას, სხვადასხვა გამოკითხვების ჩატარებას (ითვისისწინებდნენ სტუდენტების საათობრივ სარტყელს) და სილაბუსის ცვლილებას. ასევე, შემოშლეს ე.წ. „Flexible Attendance Policy“, რაც ნიშნავს, რომ ონლაინ ლექციებზე ვერდასწრების შემთხვევაში პრობლემა არცერთ სტუდენტს არ შეექმნებოდა. ეს გასაგებიცაა, რადგან თითოეული ონლაინ ლექცია ვიდეოს სახით ინახება და ყველა სტუდენტს შეუძლია, ნებისმიერ დროს, თავიდან მოუსმინოს. ასევე, რამდენიმე პროფესორმა საოფისე საათები ყველასთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადა, რაც საშუალებას გვაძლევს, დროის ნებისმიერ მონაკვეთში, პროფესორებს საგანთან დაკავშირებული კითხვები დავუშვათ.

15 მარტს, რექტორმა გვაცნობა, რომ სემესტრის ბოლომდე უნივერსიტეტი ონლაინ რეჟიმზე უნდა გადასულიყო და სწავლა 23 მარტს, დისტანციურად, განახლდებოდა. ყველას გვთხოვეს, მალევე დაგვეტოვებინა კამპუსი, თუმცა ისიც გაითვალისწინეს, რომ ბევრ სტუდენტს, ჩაკეტილი საზღვრების გამო, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტებს, ნასასვლელი არსად გვექონდა ან ნასვლას ვერ ვახერხებდით. ამიტომ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ახეთი სტუდენტები დაერჩენილიყავით კამპუსში და დავმორჩილებოდით თვითიზოლაციის წესებს. მე გადავ-

წყვიტე, საქართველოში დაბრუნებულიყავი, იმისდა მიუხედავად, რომ ზუსტად არ ვიცი, რა ბედი ეწევა ჩემს საზაფხულო პრაქტიკას. დაგეგმილი მქონდა ზაფხულში, 10 კვირის განმავლობაში, როზალინდ ფრანკლინის სამედიცინო უნივერსიტეტში პრაქტიკის გავლა. არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები, რა მოხდება ამ რამდენიმე თვეში. მხოლოდ ის ვიცი, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ გაუქმდება საზაფხულო პრაქტიკა და უკან დაბრუნებას ვერ შევძლებ, პრობლემა არ შემიქმნება, შემდეგ ზაფხულს მომეცემა პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა.

საქართველოში 19 მარტს ჩამოვფრინდი. ამჟამად საირმეში, ორკვირიანი იზოლაციაში, ვიმყოფები, ბევრს ჰგონია, რომ ე.წ. კარანტინი ცუდია, მაგრამ ავინყებდათ, რომ თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა, დაიცვას არა მარტო საკუთარი თავი, არამედ სხვაც. ძალიან კარგი პირობებია და სიმართლე გითხრათ, ვამაყობ იმით, რომ საქართველოში ამ პრობლემის მოგვარებას მთავრობა საკმაოდ კარგად ართმევს თავს. მართალია, მარტო ყოფნა, მაშინ როცა ოჯახი გენატრება, რთულია, თუმცა მჯერა, რომ იზოლაციაში ყოფნით როგორც საკუთარ თავს, ასევე სხვებსაც დავიცავ შესაძლებელი საფრთხისგან.

დისტანციურ სწავლას როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები აქვს, თუმცა, შექმნილ ვითარებაში ეს ერთადერთი გამოსავალია. მე პირადად, ბოლო რამდენიმე დღეში, საკმაო რაოდენობის მეილი მივიღე როგორც ჩემი მეგობრებისგან, ასევე პროფესორებისგანაც. მათი თანადგომა შექმნილ ვითარებას ნაკლებად მელევათ ხდის და ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში ერთმანეთის მიმართ მეტი ყურადღება და თანადგომა უნდა გამოვიჩინოთ. ემპათია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა, რაც ადამიანებს გაგვანია. გთხოვთ, ნუ დაივიწყებთ, რომ ყველაფერი ნარმავალია და კანონმორჩილებით, სახლში ყოფნით, და სიმშვიდის შენარჩუნებით შევძლებთ ამ სიტუაციიდან თავის დაღწევას.

რეალურად არავის მოსწონს ონლაინ სწავლება, უბრალოდ, შექმნილ ვითარებაში ეს საუკეთესო გამოსავალია.

სოციალური ხნის წინ გაზიარება, როგორ ამ სემესტრში უნივერსიტეტში ვერ დავბრუნდებით



დავით ჯინჭარაძე

აბუ დაბის ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის, ტვინისა და კოგნიტიური მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი

იტალიაში, კერძოდ ფლორენციაში, ვატარებდი გაცვლით სემესტრს. ყველაფერი ძალიან სწრაფად განვითარდა. ჩინკუე ტერედან ვბრუნდებოდი, მატარებელში გავიგე, რომ 2 დღეში, 3 შემთხვევიდან, ასზე მეტ შემთხვევამდე გაიზარდა ინფიცირებულითა რაოდენობა. როგორც კი ჩამოვედი ფლორენციაში, განსაკუთრებული არაფერი იგრძნობოდა – არ იყო პანიკა. მერე აღმოჩნდა, რომ ინფიცირებულითა რიცხვმა ძალიან სწრაფად დაიწყო ზრდა. მთავრობამ ლომბარდიის რეგიონის ნაწილი გადაკეტა. სიტუაცია რომ არ გაუარესებულყო, უნივერსიტეტმა სასწრაფო ევაკუაციისკენ მოგვინოდა. მოგვინია იტა-

ლიის დატოვება და საქართველოში დაბრუნება. ამასობაში, ჯერ მთლიანი ლომბარდიის რეგიონი, მერე კი მთელი იტალია „წითელ ზონად“ გამოცხადდა. მე უკვე საქართველოში, თვითიზოლაციაში ვიყავი. ძალიან დიდი იყო სტრესი და გაურკვევლობა, ცოტა ხნის წინ კი გავიგე, რომ ამ სემესტრში უნივერსიტეტში ვერ დაბრუნდებით. მეტიც, ამბობენ, რომ თუ შემოდგომამდე არ გაუმჯობესდება სიტუაცია, ნიუ-იორკშიც ვეღარ დაბრუნდებით, თუმცა ეს ჯერ კიდევ ბუნდავანია.

გადამედო, ასევე, ყველა ინტერნატურა, სადაც პროფესიული პრაქტიკის გავლას ვაპირებდი – ისრაელში, გერმანიაში, ნორვეგიაში – ყველამ გააუქმა პოზიციები.

რაც შეეხება დისტანციურ სწავლებას, იტალიაში იტალიური ენის სრულყოფისთვის ჩავედი (უკვე ვსაუბრობდი ჩასვლამდე) და შესაბამისი დონის კლასს ვიღებდი, რამდენიმე სხვა კლასთან ერთად. ონლაინ სწავლებაზე ეფექტურად გადავედი, რადგან ამერიკულ უნივერსიტეტებში პროფესორები სწრაფად გადაამზადეს და „ზუმის“ მეშვეობით დაიწყეს გაკვეთილების ჩატარება.

თუმცა, მაშინაც კი, როცა სრულყოფილად ფლობს პროფესორი ან მასწავლებელი „ზუმს“, ეს, რა თქმა უნდა, არ არის იგივე, რაც ფიზიკურად სწავლა – განსაკუთრებით, როცა საქმე უცხო ენის შესწავლას ეხება. იტალიურს უფრო მეტად გაკვეთილის გარეთ, რეალურ ცხოვრებაში, ყოველდღიურობაში უფრო კარგად ვსწავლობდი, სახლის პირობებში კი შეზღუდვები ვართ. ჩემს თანაკურსელებსაც, რეალურად, არავის მოსწონს ონლაინ სწავლება – უბრალოდ, შექმნილ ვითარებაში ეს საუკეთესო გამოსავალია. სემესტრს არ ვკარგავთ და ეს, რა თქმა უნდა, კარგია.

კამპუსზე მხოლოდ ის სტუდენტები სხოვრობენ, ვინც სახლში დაბრუნება ვერ შეძლო



სასილი ბერიძე

ამერიკის ბრენდაისის უნივერსიტეტის სტუდენტი

ჩემი უნივერსიტეტი დახურულია. კამპუსზე მხოლოდ ის უცხოელი სტუდენტები ცხოვრობენ, ვინც გარკვეული მიზეზების გამო, საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება ვერ შეძ-

ლო. სამშობლოში დაბრუნებაზე პრობლემა არ შექმნილა. ახლა ბათუმში ვიმყოფები.

ვსწავლობ ამერიკაში, ბრენდაისის უნივერსიტეტში, რომელიც ბოსტონის შემოგარენში, ქალაქ ვოლთემში მდებარეობს. როგორც კი კორონავირუსზე გავრცელდა ინფორმაცია, უნივერსიტეტში ტრენინგების ჩატარება დაიწყეს, მასწავლებლებისთვის ონლაინ პლატფორმის გასაცნობად. მასწავლებლების დატრენინგების შემდეგ, სტუდენტებს ელექტრონული ფოსტით გვაცნობეს, რომ სწავლება ონლაინ პლატფორმა ZOOM-ზე გადავიდოდა. ჩემი აზრით, დისტანციური სწავლება არაეფექტურია, რადგან ონლაინ გაკვეთილები, ძირითადად, არაორგანიზებული და, ჩვეულებრივ გაკვეთილებთან შედარებით, მოსაწყენია. ვფიქრობ, გაკვეთილები დასახვეწია, განსაკუთრებით ვიზუალური ასპექტით. ამიტომ, არაეფექტური მგონია მთლიანობაში გაკვეთილების ონლაინ ჩატარება, მით უმეტეს, როცა ეს ყველაფერი დიდ კლასთან ერთად ხდება და არა ინდივიდუალურად.

უნივერსიტეტმა სტუდენტებს მოგვცა, უფლება ჩათვლა/არჩათვლით ავილოთ ნებისმიერი კურსი. მაგალითად, თუ არ გვაკმაყოფილებს საბოლოო ნიშანი და არ გვინდა ნიშნების ფურცელზე გამოჩნდეს, შეგვიძლია მარტივად ჩათვლა/არჩათვლით გადავფაროთ და აღარ გამოჩნდება ტრანსკრიპტზე. უნივერსიტეტში ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ სტუდენტები, კორონავირუსის გამო, დიდ სტრესში ვართ და არ უნდათ, ნიშნებზე ვინერვიულოთ. სიტუაციიდან გამომდინარე, ჩემი სამომავლო გეგმები გაურკვეველია, ჯერჯერობით, არ მაქვს ინფორმაცია, რას გეგმავენ უნივერსიტეტში.



ეს ხანძარი უნდა ჩავაქროთ და ამისთვის სახლში დარჩენა წყლის ჭავლის ცოლფასია

ლადო აფხაზავა
ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი,
„მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2017“-ის გამარჯვებული

#დარჩისახლში

ყოველთვის საჭიროა აღიარო მტეხი და სტრატეგიული ბიძოცა გამოუცხადო მას. ამჯეხად ისეთი მდგომარეობაში ვახით, მტეხი უხილავია და ზოგისთვის ხიური დარჩა ამის აღიარება, თუმცა ვიცით, ხოგოხი შეიძლება ვებბიძოცოთ მას და დავამახიცხოთ, მაგჩამ სწოხედ იმ უსახგებლო „ჯაჰიზებს“ ვიშველიებთ, ხომელიც მტეხს ამხავეებს და უჯონტხოლოს ხდის. ამიტომ დარჩით სახლში.

ზედმეტი ახაფეხია ჯახგი, მათი შოხის მონაინ გაჯვეთილები. თითქმის ყოველ დღე ვკითხულობთ სხვადასხვა სჯოლის დიხეჯტოხები, სოციალური ქსელში, ხოგოხი აჯვეყნებენ მონაინ გაჯვეთილების ცხიილებს. ეს ცხიილი ჯი, იმდენად გადატვიხთელია, ხომ ეჭვი მეჰახება, ამ სტეხესურ სიტუაციაში, ბავშვმა ჯი ახა, უფხოსებმა გაუძლონ ამდენ გონებხივ დატვიხთვას. მახითარია, გვსუხს სწავლების ჰხოყესის შესაძლებლობის ფახგებში უხეხვეყყოფა, მაგჩამ ამ ვითახებაში ზედმეტი დატვიხთვა ჯიღევ უფხო მეტად გაამწვავეებს სტეხესურ მდგომარეობას, ხომელშიც, სამწუხაროდ, ყველანი აღმოვჩნდით.

დღევანდელი მოყმელომა გვაიძულებს, შევცვალოთ ჩვენი წახმოდგენები განათლების მიღებულ ფოხმებზე. ვფიქრობ, უახი უნდა ვთქვათ ხალაცნაიხი ხუტინურ სწავლების ჰხოყესზე, ხადგან ჩვენს მოსწავლეებს, სამომავლოდ, სხვა გამომწვევები აქვთ.

ახლა უმთავრესია, ჩვენს მოსწავლეებს სტეხესური დღეების გადაღახვაში დავებმახოთ და შევემსებუქოთ თვითიზოლაციის ხიური ჰეხიოლო და ახა ჰიიიქით. უნდა ვეცადოთ, გავახარისხოთ ბავშვები.

დღეს ხოლები შეიცვალა – მასწავლებელი ახლა მშობელია, მეტნიად, სწოხეთ მათზეა დამოკიდებული ყველა იმ საგანმანათლებლო ჰხოყესის წინსვლა/უკესვლა, ხაც ჩვენს ხეაღობაში ხდება. ისინი ახეგისტეხიებენ ჰატახებს სხვადასხვა ჰლატფოხმაზე, ახსენებენ შვილებს გაჯვეთილების ცხიილს, ამეყადინებენ, ულებენ ვიდეოებს და უგზავნიან საგნის მასწავლებლებს, თუმცა ახიან ბავშვები, ხომლებიც ჩვენზე მეტად უხეჯვევიან ციფხურ ჯომჰეჯენციებში. მნიშვნელოვანია, მათი ხესუხის სწოხად გამოვიყენოთ.

მინახია, ხომ მასწავლებლები დღითი დღე ვიხვეწებთ და ვცდილობთ, მიჯვადფეხოვანი მონაინ გაჯვეთილები შევთავაზოთ ჩვენს მოსწავლეებს.

ხაც შეეხება დღევანდელ ხეაღობას, ვფიქრობ, ხოგოხიც ახასდხოს ისე გვჭიხდება ეხომანეთის გაფხითხილება. ხოყა სხვაზე ზეხნავ და სხვისთვის დათმობებზეც მიღიხახი, სწოხედ მამინ აღმოაჩენ საჯეთახი თავსაც და შენს შესაძლებლობებსაც. დღეს სახლში დარჩენით ვზეხნავთ ძალიან ბეჯი ადამიანზე: ახადგაზხიებზე, მოხეყებზე, ექიმებზე, ჰოლიციელებზე და ყველაზე მთავარზე – ჩვენს სამშობლოზე.

გახსოვთ, ხოყა ჩვენი ტყეები იწვოდა, ხოგოხი განვიცდიდით და გელთან მიგვქონდა თითოეული წახგავის ბედი, ახლაც სწოხედ ასეთი სიტუაციაში ვახით! ხანძახი უნდა ჩავაქოთ და ამისთვის სახლში დარჩენა წყლის ჭავლის ცოლფასია.

დარჩით სახლში, თქვენი ტებილი ბებუებისთვის და ბაბუებისთვის, იმ ბავშვებისთვის, ვინც ჩვენი ქვეყნის მომავალია, იმ ექიმებისთვის, ხომლებსაც იატაკზე სძინავთ, ჰოლიციელებისთვის, ხომლებიც დღე და ღამ ქეჩაში აღამებენ და ათენებენ, ადამიანებისთვის, ვინც ჩვენზე ზეხნავენ.

#დარჩისახლში სოყვახელისთვის და გამახჯვებისთვის!

